საერთო გაზეთი

№37 (729)
ოთხშაბათი
15 ნოემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

პრემიერს ადევნებული კვაზი-პრეზიდენტი

რუსეთმა ომში „წუთშესვენება“ აიღო



„– დალი!
– ჩტო დალი?
– ბე დალი!“

ისრაელი მსოფლიოს დაუპირისპირდა?!

ერდოღანი – „დემოკრატი სულთანი“

მშვიდობა გადამწყვეტია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის „პარიზის მშვიდობის ფორუმზე“ გამოსვლის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის მიწვევით, სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა მსოფლიო ლიდერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „პარიზის მშვიდობის ფორუმში“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში უმასპინძლა საქართველოს პრემიერს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროკომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომ დადებითი რეკომენდაცია მისცეს ევროპულ საბჭოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა საფრანგეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ამ გზაზე თანადგომისათვის და ხაზი გაუსვა საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის მნიშვნელობას. ამასთანავე, იმედი გამოთქვა, რომ ამგვარი კეთილიმეგობრული დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც საქართველოს გაწევრიანების შემდგომ ეტაპზე წარმატებით გადასვლაში დაეხმარება.

სტუმარ-მასპინძელმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. საუბარი იყო რეგიონისა და, ზოგადად, მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოს შესახებაც. მხარეებმა არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე იმსჯელეს და ისაუბრეს იმ პოზიციურ როლზე, რომლის თამაშიც სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად საქართველოს შეუძლია. ბატონმა პრემიერმა ბატონი პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია.

ბატონი ღარიბაშვილი, იმყოფებოდა ემანუელ მაკრონისა და ბრიჯიტ მაკრონის სახელით გამართულ ვახშამზეც, რომელიც „პარიზის მშვიდობის ფორუმის“ მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურების პატივსაცემად ელისეს სასახლეში გამართა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სოციალურ ქსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა რომელსაც ქართულ ენაზე დაწერილი სტატუსი ერთვოდა: „ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისთვის. საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით.“

მნიშვნელოვანი იყო ბატონი პრემიერის გამოსვლა პანელურ დისკუსიაზე „თანამშრომლობის ასპექტები დაპირისპირებულ სამყაროში — მშვიდობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამყაროს შენება კავკასიის მაგალითზე.“

ბატონმა პრემიერმა განაცხადა, რომ უერთდება კოლეგისა და მეგობრის, პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მადლობის სიტყვებს, რომელიც ეხებოდა აღნიშნული ფორუმის ორგანიზებასა და მათ მიწვევას ამ ფორუმზე და საკუთარ დასმულ შეკითხვას, მსოფლიოში არსებული ამჟამინდელი კონფლიქტებით გამოწვეული კრიზისები ვისზე აისახება, თავადვე გასცა პასუხი, რომ ეს, უპირველესად, თითოეული ამ ქვეყნის (არა მხოლოდ), მოსახლეობაზე, ზოგადად ხალხზე, მოქალაქეებზე აისახება.

პრემიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაურკვევლობებისა და არაპროგნოზირებადობის პერიოდში ვცხოვრობთ, რის მაგალითადაც უკრაინაში მიმდინარე ომი დაასახელა, რომლის არც დასასრული ჩანს და არც ამ ომიდან გამოსავალი. დაასახელა კონფლიქტები აფრიკასა და ნებისმიერ სხვა წერტილებში და აღნიშნა, რომ ყველა კრიზისა თუ კონფლიქტში გამოსავალი უნდა იყოს მშვიდობისკენ სწრაფვა; რომ მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მშვიდობის მისაღწევად.

პრემიერმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ სურდა საქართველოს იმ წარმატების ისტორიის შესახებ საუბარი, რასაც საქართველომ ბოლო ათ წელში მიაღწია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი: „როდესაც 2012 წელს ხელისუფლებაში მოვედით, საქართველოს სტატუს-კვო იყო ასეთი: ქვეყნის 20% პკუპირებული იყო და კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ — ეს ჩვენი რეალობის უდიდესი გამოწვევაა.

სამწუხაროდ, 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ომი მოხდა; გასული საუკუნის 90-იან წლებში სამოქალაქო ომი გვქონდა; აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც ომები გვქონდა — ეს ოკუპირებული ტერიტორიებია და მათ რუსეთის ფედერაცია უჭერდა მაშინ მხარს. ამდენად, საქართველოს ბევრი პრობლემა და გამოწვევა უნახავს.

ომი, რომელიც დაიწყო უკრაინაში, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანისთვის დიდი გამოწვევაა იმიტომ, რომ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, შემდგომი ესკალაციის ან რთული სცენარების აცილებას ვეცდებით თუ არ ვეცდებით, მას მაინც გავლენა აქვს ჩვენზე.

რა თქმა უნდა, ჩვენს რეგიონში, მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში არსებული დაძაბული სიტუაცია ყველას გვაწუხებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ საქართველო ძალიან ობიექტური და, ვიტყოდი, რომ მიუკერძოებელი მედიატორი, ფასილიტატორი და მეგობარია, რომელსაც ორივე ქვეყანა ენდობა. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან, პირადად მაქვს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ორივე ქვეყნის ლიდერთან. საქართველოს ინტერესებშია გრძელვადიანი, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს რეგიონში.

ჩვენმა მთავრობამ შეძლო უწყვეტი, უპრეცედენტო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ნებისმიერი წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა ომები, კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა. ეს ერთადერთი პერიოდია, როდესაც საქართველოს არცერთი ომი არ უწარმოებია და არც ტერიტორიები დაგვიკარგავს, პირიქით, ვიზრდებით, ვმდიდრდებით და ვაძლიერებთ ჩვენს ქვეყანას. ეს ისეთი რამ არის, რასაც კეთილდღეობა მოაქვს ჩვენი მოსახლეობისთვის, ჩვენი ხალხისთვის.

რა თქმა უნდა, ოკუპაციასთან დაკავშირებული გამოწვევა კვლავ არსებობს, არ გამქრალა, მაგრამ სტრატეგიული თმენის პოლიტიკა ავირჩიეთ. რატომ ვამბობ ახლა ამას? არის რაღაცები, რასაც მყისიერად ვერ მოვაგვარებთ, ხომ ასეა? ამიტომ, საჭიროა მოთმინება გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც უნდა მივყვეთ და თამნმიმდევრულნი უნდა ვიყოთ ამ გეგმის შესრულებაში.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ძალიან მიმზიდველი და შთამბეჭდავი რეფორმები განახორციელა და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია. მქონდა პატივი, რომ 2014 წელს ხელი მომეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე; თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებაც გავაფორმეთ ევროპასთან, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოგვენიჭა ევროკავშირის ტერიტორიაზე; გასული წელიც ისტორიული აღმოჩნდა და ოროიდე დღის წინათ კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროკომისიის მიერ, მან რეკომენდაცია გასცა ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებზე — ეს ისტორიული მიღწევაა!

რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს, ჩემს მთავრობას და ჩვენს მმართველ პარტიას ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, რომელიც შეუქცევადია და გულისხმობს ევროპასთან დაახლოებას, ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას გულისხმობს. ამ მიმართულებით თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ, ამ ეროვნულ, ასე ვთქვათ, გეგმას ვუახლოვდებით.

ამავდროულად, შევძელით ჩვენი ეკონომიკის გაზრდა. ამჟამად სომხეთთან ერთად მსოფლიოს ყველაზე სწრაფმზარდი ეკონომიკა გვაქვს. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან კარგ დარგობრივ პოლიტიკას და ეფექტურ მმართველობას ვაწარმოებთ. მაგალითად, გასულ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეკორდულ მაჩვენებელზე ავიდა; უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლები ისტორიულ მინიმუმზეა, ხოლო ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები — ისტორიულ მაქსიმუმზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოში მსგავსი არაფერი მოხდებოდა მშვიდობის გარეშე.

მშვიდობა გადამწყვეტია!

მშვიდობა არის ის, რისკენაც ყველა უნდა ვისწრაფოდეთ. მსოფლიოს ნაკლები ომი და მეტი მშვიდობისმყოფელი სჭირდება, რადგან, რასაც ამჟამად ვხედავთ, ძალიან გვაწუხებს. როდის დასრულდება ომი უკრაინაში? ძალიან გვაწუხებს ის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში ან სხვაგან. ამიტომ, საქართველო და მსგავსი პატარა ქვეყნები, მაგრამ ძლიერი ერები, დაინტერესებულები უნდა იყვნენ მშვიდობის შენარჩუნებით, სტაბილურობითა და მოსახლეობის კეთილდღეობით.

ერი ვახსენე და აქვე უნდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ დედამიწაზე. ხალხს და, ზოგადად, მსოფლიოს ერებს სიცხადე, გარკვეულობა სჭირდებათ. ახლა ვერ ვხედავთ ამას, — არც პრიგნოზირებადობა არსებობს, არავინ იცის, რას მოიტანს ხვალინდელი დღე. ვის შეუძლია ამ ტიპის პრობლემების გადაჭრა? დიდ ქვეყნებს, დიდ სახელმწიფოებს! აქვე გავიმეორებ, რომ საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და მსგავს ქვეყნებს სჭირდებათ ნათელი ხედვა დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისგან. ხომ ასეა? ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ და დავადასტურებ, რომ საქართველო დაინტერესებულია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებით! აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან ფრთხილი, მაგრამ გონივრული პოლიტიკით მოვახერხებთ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციას. ეს ერთადერთი არჩევანია, რაც ამჟამად საქართველოს გააჩნია.

ხაზი მინდა გავუსვა — ბოლო ათი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში არაფერი გვიკეთებია ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან ეროვნული ინტერესების ხარჯზე, ყველაფერს ჩვენი ხალხისთვის ვაკეთებთ და მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც საუკეთესოა ჩვენი ხალხისთვის და მომავლისთვის!

ბოლოს, დავამატებ — ორი წლის წინათ წარმატებით ჩავატარეთ რიგით პირველი მედიაცია და ამის პრეცედენტი შევქმენით პრემიერ-მინისტრ ფაშინიანთან და პრეზიდენტ ალიევთან ერთად, როდესაც აზერბაიჯანმა 15 დაკავებული პირი გაათავისუფლა საქართველოს მედიაციის გზით, ხოლო სომხეთმა მას გადასცა დანაღმული ტერიტორიების რუკები. ამდენად, საქართველოს შეუძლია ამ შედეგების მიღწევა და მიმაჩნია, რომ აქ ნდობის ფაქტორია გადამწყვეტი, როდესაც ერთი მხარე მეორეს სთავაზობს მედიატორს, მას ორივე უნდა ენდობოდეს — თუ ნდობა არ იარსებებს, არც მედიაცია იქნება წარმატებული.

და კიდევ ერთი რამ — წლევანდელი წლის იანვარში დავოსში მაქვს ნათქვამი, რომ შეიძლება, მხარეები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, მაგრამ თანამშრომლობა უნდა შედგეს. თანამშრომლობისა და მშვიდობიანი დიალოგის გარეშე არ იარსებებს მშვიდობა!

საქართველოს პარტნიორობა და მეგობრული ურთიერთობა აქვს როგორც სომხეთთან, ისე — აზერბაიჯანთან. ამდენად, ამ სიტუაციაში საქართველო ვერ იქნება მიკერძოებული, ვერცერთის მხარეს ვერ დავიჭერთ, საქართველო ნეიტრალურია 100%-ით.

პრემიერმა აღნიშნა, რომ გასულ თვეში თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე სომხეთისა და აზრებაიჯანის პრემიერ-მინისტრების სტუმრობის დროს რეგიონის სამივე ქვეყანამ შეძლო სამომავლო თანამშრომლობის შესახებ საუბარი, ასევე, განიხილეს არსებული სირთულეებიც და ბარეიერების დაძლევის გზებიც.

პრემიერმა დაგმო ტერორიზმი და იმავე პათოსით დაასრულა, რომ, როდესაც საკითხის ომის გზით გადაწყვეტა ვერ ხერხდება, მხარეები უნდა დასხდნენ და დაილაპარაკონ.

პრემიერს აღევნებული კვაზი-პრეზიდენტი

„შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ შენი ერის!“ — რომანის პერსონაჟს ათქმევინა ჭაბუა ამირეჯიბმა, მაგრამ ამგვარი შეგონებანი რანაირად უნდა გაიგოს რეზიდენტმა პრეზიდენტმა, რომელიც საქციელით ჩამოყალიბებული პოლიტმეძავია, წინაპარი კი, დიდი ბებიის სახით, პროფესიონალი მეძავი ჰყავდა.

ვაგლახ! როგორ წარმოვიდგენდი, რომ როდესმე ნიკა გვარამიას ჭკუაზე დავდგებოდი — მართალი ყოფილა ის კაცისებრი, რას გამოვუხტით და დავტუქსეთ, როგორ ჰკადრებ ქალს და ამავდროულად შენი ქვეყნის პრეზიდენტს ასეთ უწმაწურ სიტყვებსო. ალალი იყოს ამ ქალისებრზე ყველა ის სიბინძურე, რაც კაცისებრმა საქვეყნოდ მიუძღვნა! აკადრაო, ვერ ვიტყვი, ჭეშმარიტება უბრძანებია ამ შემთხვევაში ნიკა-მართალს და რას ვერჩით?

რამე თუ დარჩა კიდევ, რაც ამ ქალს არ უკადრებია?

კი, დარჩა, ახალგაზრდების მოყვარული „მიხეილ მემორანდუმას“ შეწყალება და სანამ ეგეც მოუმოქმედებია, საკუთარი წინაპრების სამშობლოს არცნობისა და ღალატის გამო, ავანსად დაყვიროს ივანე ზურაბიშვილისავე თეთრმა ვირმა!

აღიარებები რომ დაიწყეს, ვიღაცები დადიან „ევროპებში“ და საქართველოს წინააღმდეგ სამავნებლოდ ეჩურჩულებიან ცალკეულ პირებსო, ჯოხი ცხვირმოუხოცავ პოლიტწვრილფეხობაზე გადატყდა, არადა, ამხელა პერსონა ასე აშკარად რომ გამოსრიალდა, ხომ წარმოგიდგენიათ, კულუარულად რეების მკადრებელია? აი, რატომ დაძრწოდა ხრიოკის ტურასავით აქეთ-იქით!

აბა, ახლა გამოდგნენ ის გამოქანთარებული მორალისტები, ზოგი მჭლე და ზოგი — მსუქანი, ყბის ძვალს რომ იგდებდნენ, „რას აშავებს ქალბატონი პრეზიდენტი ევროპელ ლიდერებს რომ ხვდება, საქართველოს ევროპული მომავლისთვის იღწვის პრეზიდენტის მაღალი ტრიბუნიდანო“; ახლა იბწკინონ სათითაოდ ცალ-ცალ დუმაზე, „რატომ არ რთავს ნებას მთავრობა რომ ევროპის ლიდერებს შეხვდესო“. სალომე ზურაბიშვილი: „ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი გზავნილი: ევროპამ ასე, უბრალოდ, არ მოგვცეს სტატუსი, არ გადმოგვიგდოს როგორც საღრღნელი ძვალი, არამედ, სტატუსს თან უნდა ახლდეს ევროპული თანადგომა სწორედ არჩევნებზეც.“

გესმით, რას ამბობს ეს ძაღლთაპირი, ეს უსამშობლო, ქართველთმოძულე?

რადგან დაგეგმილი ნოემბრის მოლოტოვის კოქტეილობანა ჩაეშალათ, დეკემბრის იმედიც აღარ აქვთ, 2024 წლის არჩევნებისთვის გადაავადა, ხავსს ებღაუჭება, რა ჯანდაბად გვინდა თქვენი სტატუსი თუ ჩვენსას ვერ მივაღწიეთ, ხელისუფლების შეცვლაა მიზანიო. მოკლედ ეს ასე გამოითქმის: „ხალხმა რომ უმრავლესობით კვლავ „ქართული ოცნება“ აირჩიოს, გვერდზე უნდა დაგვიდგეთ „ევროპულად“, არადემოკრატიულად უნდა ცნოთო“. „ევროპულ-ამერიკული“ თანადგომა როგორია, კარგად ვხედავდით სააკაშვილის მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში; ისიც კარგად ვიცით, რამდენი კარლ ბილდტი იყო იმ „ევროპებში“ და იმასაც კარგად ვხედავთ, ახლაც რამდენი კარლ ბილდტია იმავე ევროპაში — ქრთამი მხოლოდ ჯოჯოხეთს არ ანათებს, ევროპასაც კარგად აბრდღვიალებს!

საქართველოს პრეზიდენტი შიშველი და ღირსებააყრილია, მაგრამ ვისთვისაც უცხოა ღირსების ცნება, ანაღვლებს? უფრო და უფრო ეფლობა იმ ჭაობში, რომლიდანაც ვეღარასოდეს ამოვა.

ბატონი პრემიერი საფრანგეთის პრეზიდენტმა მიიწვია ელისეს სასახლეში და იმპიჩმენტგაყრილი რეზიდენტიც საფრანგეთში გავარდა დაუოკებელი ძუკნასავით, სადაც კიდევ ერთი, ყველანაირი ჩარჩოდან ამოვარდნილი პოლიტუგვანობა დაახეთქა — ერთ-ერთი ფრანგული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში პუტინისა და სი ძინპინის დაპატიმრებას მხარი დაუჭირა. მე იმის დედა ვატირე, ვინც ამას დიპლომატობა დააბრალა!

ეს გაურკვეველი წარმოშობის ზურაბიშვილების ჩონჩორიკი იმ სი ძინპინის დაპატიმრებაზეა ხელისმომწერი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და ჩინეთის ცენტრალური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეა; იმ სი ძინპინის დაპატიმრების მხარდამჭერია, რომელიც ჩვენი (მისი სამშობლო არ არის!) პარტნიორი სტრატეგიული ქვეყნის პრეზიდენტია, რომელსაც 15 ნოემბერს, სანფრანცისკოში ჩვენი მეორე სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის პრეზიდენტი (ერთი ის არის კიდევ „შედევრი“ და სხვა სამყაროსთან კონქატორი!) უნდა შეხვდეს, ხოლო 7-8 დეკემბერს, პეკინში, სი ძინპინთან შეხვედრაზე ჩვენი მესამე სტრატეგიული პარტნიორის ლიდერები, ურსულა ფონ დერ ლაიენი და შარლ მიშელი ჩადიან.

აშშ, ევროკავშირი და ზოგადად, ყველა სერიოზული გეოპოლიტიკური მოთამაშე ჩინეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს და ამ დროს ეს ტუტუცი კვაზიპრეზიდენტი რეებს როშავს მსოფლიოს გასაგონად! თუმცა, ის ხომ რეალურად სათამაშო ტიკინაა, მოქაჩავენ ძაფზე და ასრულებს. მისი ჰანგი ხომ იგივეა, რაც ე.წ. რადიკალებისა, რეალურად მასავით უცხო ქვეყნების აგენტებისა და შესაბამისად, საქართველოს მავნებლებისა. ახლახანს იყო — საქართველოს პრემიერი რატომ ხვდება ჩინეთის დიქტატორ ლიდერსო და საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული ხელშეკრულების გაფარჩაკებას ცდილობდნენ.

გულღრძო დედაკაცი!

გულით უნდოდა ღამურას ელისეს სასახლიდან ბრიჯიტ მაკრონთან ერთად გადაღებული ფოტოები ეფრინა, ამიტომაც იშვლიპა ქუდი და გაეცხრა საფრანგეთში, მაგრამ ხელთ მხოლოდ საქართველოს პრემიერისა და საფრანგეთის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის კეთილდამოკიდებულების ამსახველი კადრები შეგვრჩა. იცოდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ პრემიერს შეხვედრა ჰქონდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან, ჭოუ ციენთან და წაიმავნებლურა.

შეხვდა ბატონი ღარიბაშვილი ჩინეთის ელჩს. მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ორმხრივ მეგობრულ ურთიერთობაზე, განიხილეს მიმდინარე გეგმები და ხაზი გაესვა ორი ქვეყნის წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის განვითარების თვალსაზრისით, რაც ზრდის ქვეყნის, როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი დერეფნის პოტენციალს.

შეხვედრაზე, ასევე ხაზი გაესვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის, სი ძინპინის მიწვევით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ჩინეთში განხორციელებული ვიზიტის ისტორიულ მნიშვნელობას და მის უდიდეს როლს საქართველო-ჩინეთს შორის ურთიერთობის სტრატეგიულ დონეზე განმტკიცების პროცესში.

ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ მხარეებს განსახილველი და ამ ტუტრუცანა „ჭ“ კლასის უცხო ქვეყნის აგენტის ენის ქნევის გამო, საქართველოს პრემიერს მოუწია საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის განცხადების შეფასება, ფაქტობრივად, თავის დახრა, რომ საქართველოს ასეთი არარაობა ქალი ჰყავს პრეზიდენტად დადებული.

პრემიერმა კატეგორიულად მიუღებელი და შემაშფოთებელი უწოდა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ სი ძინპინთან დაკავშირებით, რომელიც მან ფრანგულ სატელევიზიო არხ LCI-სთან ინტერვიუში გააკეთა.

პრემიერმა ნამუსი მოგვწმინდა საქართველოს იმ შვილებს, რომლებიც საქართველოს ვთვლით სამშობლოდ, ნორმალურ ადამიანებს და ხაზგასმულად აღნიშნა სი ძინპინის დესპანთან, რომ აღნიშნული რიტორიკა სასტიკად ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების, ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ჩინეთთან და არ შეესაბამება ორი ქვეყნის მეგობრული, სტრატეგიული პარტნიორობის სულისკვეთებას; რომ ის ზიანს აყენებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთებას.

პრემიერმა ვეღარ დამალა შუბი ხალთაში, იძულებული და ვალდებული გახდა ეღიარებინა, რომ სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ე.წ. პრეზიდენტი კონსტიტუციის დარღვევითა და სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, ცალკეულ აქტივობებს ახორციელებს და საკუთარ შეფასებებს აკეთებს საერთაშორისო საკითხებზე, რის გამოც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს; რომ სწორედ მისი მხრიდან კონსტიტუციური ნორმების საჯარო და უხეში დარღვევა გახდა მმართველი გუნდის მხრიდან პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის ინიცირების მიზეზი; რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი არ ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას — ეს მანდატი მხოლოდ საქართველოს მთავრობას აქვს მინიჭებული. შესაბამისად, საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის განცხადება ფორმალურადაც კი არ გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ჩინეთის სახელმწიფოსა და მისი ლიდერის მიმართ.

პრემიერმა სინანული გამოხატა რეზიდენტი-პრეზიდენტის განცხადების გამო და იმედი გამოთქვა, რომ მისი გამიზნული მავნებლობა გავლენას არ იქონიებს საქართველო-ჩინეთის პოზიტიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე.

„ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე — მისი ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობაზე — მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირუკუ.

ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელსაც იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერის და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს.“ ამ უზნეოს ზნეობა ვინ მიაშავა!..

ჩინეთის ელჩი გაგებით მოეკიდა ბატონი პრემიერის განმარტებას. აშკარა იყო, რომ მან კარგად იცის რას უმკლავდება ქვეყანა სინდის-ნამუსდაცურებული ე.წ. პრეზიდენტის სახით და „ჩინეთის წილი“ სირცხვილი აგვარიდა, მაგრამ ეს რომ ბოლო მავნებლობა არ იქნება მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, ხომ ვიცით?

მაინც რამდენ თუმნად გაიხადა რეზიდენტმა პრეზიდენტმა?

სანამ ომი გამოუცხადებია რომელიმე ქვეყნისთვის და საერთაშორისო გაუგებრობაში ჩავუგდივართ, რამენაირად დაუხშეთ საინფორმაციო ღრუ ამ ვიგინდარა ქალს!

რითი დაფრინავს ეს კუდიანი, ცოცხზე ხომ არ არის გადამჯდარი — არ მიეცეს აფრენის უფლება არცერთ ბორტს, რომელშიც ეს გველკუა იჯდება!

გარდაუვალი იძულებაა ვადის ამოწურვამდე ვუთმინოთ?!

ამას ვის გადავეყარეთ!



ზურა ოთხერელი

ქვის სროლით საქართველოში ხელისუფლება აღარ შეიცვლება!

ნომრის სტუმარია ანალიტიკოსი ლევან ნიკოლეიშვილი:

- ბატონო ლევან, რამდენიმე დღის წინ ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. რა მოლოდინი გქონდათ და კონკრეტულად რას აძლევს ქვეყანას ეს სტატუსი?

- ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ევროკომისიის რეკომენდაცია მიგვეღო, თუმცა, ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორის გამო, ამის დიდი იმედი არ მქონდა. თუ გავითვალისწინებთ ოპოზიციის მავნებლურ ქმედებებს, რაც თვითონაც აღიარეს, რომ კარდაკარ დადიოდნენ ევროკავშირის ქვეყნებში და პირდაპირ ითხოვდნენ, საქართველოსთვის სტატუსი არ მიეცათ; ამას ემატებოდა სალომე ზურაბიშვილის ასევე მავნებლური ქმედებები, რაც თავადაც არაერთხელ აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ თითქოს საქართველო ამ სტატუსს არ იმსახურებდა; და რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებული ლობისტების განწყობა, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ის დღის წესრიგი მიეღოთ ქვეყანაში, რასაც მათ შემკვეთი აძლევთ; გარდა ამისა, ჩვენ გვახსოვს არაერთი რეზოლუცია, არაერთი უსამართლო მიდგომა საქართველოსთან მიმართებაში და ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩემი პოზიცია იყო 50/50-ზე, სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით.

ახლა კი ისეთი გახარებული ვარ, როგორც ჩვენი მოსახლეობის მოაზროვნე ადამიანების უმრავლესობა, რადგან ეს ჩემი ქვეყნისთვის წინსვლას, მეტ უსაფრთხოების გარანტიას და მეტ ეკონომიკური განვითარებას ითვალისწინებს, თუმცა, სტატუსი აპრიორი ევროკავშირის წევრობას არ ნიშნავს. ჩვენ ბევრი ქვეყანა ვიცით, ვინც წლების განმალობაში ელოდება კავშირში გაწევრიანებას სტატუსის მიღების შემდეგ, მაგრამ გულხელდაკრეფილი არ უნდა ვისხდეთ და კიდევ ბევრ გამოწვევას ღირსეულად უნდა გავუმკლავდეთ.

არამხოლოდ საქართველოში, საქართველოს გარეთაც არიან პოლიტიკური აქტორები და ქვეყნები, რომლებსაც დიდად არ უხარიათ საქართველოს წარმატებები და ეს შიდა და გარეშე მტრები მუდმივად ეცდებიან, ხელი შეგვიშალონ.

- ოფიციალური წყაროების მიხედვით, ევროკომისიის რეკომენდაცია იმის გათვალისწინებით გაიცა, რომ მთავრობამ რეფორმების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, ამჟამად უნდა შესრულდეს 9 რეკომენდაცია, თუმცა, რა ვადებში - ეს არავის უხსენებია...

- ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ რაღაც არ შესრულდება, კატასტროფა იქნება და თუ შესრულდება -ავშენდებით, რადგან ყველაფერი, მეტწილად, პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. სწორედ პოლიტიკური ნება თამაშობს ძალიან დიდ როლს. გავიხსენოთ, რატომ მიიღო კანდიდატის სტატუსი კორუფციით გამორჩეულმა მოლდოვამ, რომელიც დსთ-ის წევრია და არამხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სხვა ფაქტორებითაც საკმაოდ ჩამორჩება საქართველოს. მოლდოვას ჰყავს სერიოზული „ლობი“ რუმინეთის სახით. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოლდოვა უფრო ახლოა ევროპასთან და გეოგრაფიულმა მდებარეობამაც დიდი როლი ითამაშა ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ევროკავშირისთვის გაერთიანებაში მისი ხილვა მეტად სასურველია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. და რატომ მიიღო სტატუსი უკრაინამ, რომელიც ნახევარი ქვეყანაა, ფაქტობრივად, დარჩენილი და საშინელება ხდება კორუფციის კუთხით?! - ესეც პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო!

მართალია, საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს არ ესაზღვრება, მაგრამ ის არის გეოპოლიტიკური კარიბჭე და ყოველთვის სტრატეგიული როლი ექნება თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კავკასიის ორი რესპუბლიკა, სომხეთი და აზერბაიჯანი დიდწილად არიან დამოკიდებული საქართველოზე და, მათ შორის, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც. ერთია, რომ აზერბაიჯანს უნდა ჩვენი ქვეყნის გავლით თავისი ენერგორესურესების გატანა ევროპისაკენ და მეორე - წარმოიდგინეთ სომხეთის მდგომარეობა, საქართველოში რომ არ იყოს მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია - ეს როგორ იმოქმედებს სომხეთის ეკონომიკაზე. ამიტომ ის, რაც ფორუმზე აღნიშნა სომხეთის პრემიერმა ფაშინიანმა, მხოლოდ დიპლომატიური ჟესტი არ იყო, მან გულწრფელად მოგვილოცა სტატუსის მისაღებად წინ გადადგმული ნაბიჯი, რადგან მის ინტერესებშიც შედის, თუკი მეზობელი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება. კავკასიის ქვეყნებს არ აძლევთ ხელს საქართველოში არასტაბილური მდგომარეობა.

ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ევროსაბჭომაც გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, იმაზეც დაფიქრდნენ, რომელი ხელისუფლება სჯობს - არსებული, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკას აწარმოებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ქვეყანა სტაბილურად განვითარდეს, თუ დესტრუქციული ძალა, რომელიც ცდილობს, ყველანაირი მეთოდით მოვიდეს ქვეყნის სათავეში და ღიად აცხადებს, რომ საქართველოში საომარ მდგომარეობას დაიწყებს! ნორმალური ადამიანები ფიქრობენ, რომ ქვეყნის სტაბილურად განვითარება და მშვიდობიანი პოლიტიკა სჯობს იმგვარ სიტუაციას, რაც ახლა უკრაინაშია შექმნილი... თუმცა, გამოწვევები გრძელდება, მტრები ისევ არიან, მავნებლები ისევ არიან, მაგრამ ყოველგვარი შეთქმულების თეორიების გარეშე ვამბობ, რომ უნდა ვიყოთ ფრთხილად და გავაგრძელოთ გონივრული პოლიტიკა.

- გახარებული ვარო, ახსენეთ. თუმცა, ოპოზიცია, ეს დღეებია, გამუდმებით აპელირებს იმაზე, რომ თითქოს ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს ევროსკომისიის გადაწყვეტილება არ გაუხარდათ, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდათ და ამას ვერც მალავენ...

- ეს არის სასაცილო. სასურველი იქნებოდა, გვყავდეს ჯანსაღად მოაზროვნე ოპოზიციური ძალა, პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანები, რომელთა ხედვაც რეალობასთან ახლოს იქნება, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე რამდენი წელია ეს არ გვეღირსა. კარგი იქნება, რომ მმართველ გუნდს ვინმე ღირსეულ ოპონირებას უწევდეს, სთავაზობდეს საკუთარ ხედვას, პროგრამას, რომელიც უკეთესია, ვიდრე ხელისუფლების მიმართულება და გეზი, რადგან ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებაც მეტად მონდომებული იქნებოდა. დასახავდნენ გეგმებს ეკონომიკის თვალსაზრისით, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ოკუპაციის თვალსაზრისით... და ოპოზიციასაც ექნებოდა საშუალება, უკეთესად ემუშავა. თუმცა, ჩვენ გვყავს გვამებზე მონადირე „ომის პარტია“, რომელიც გამუდმებით ცდილობს, კომპრომატი მოძებნოს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ და ამით პოლიტიკური ქულები ჩაიწეროს.

არადა, სამყარო შეიცვალა, აღარ არის ისეთი, როგორიც საუკუნის დასაწყისში იყო და რადიკალური გზებით ხელისუფლების დამარცხება უკვე შეუძლებელი იქნება.

ოპოზიციისთვის კანდიდატის სტატუსი გახლდათ ერთგვარი იარაღი, ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის კეთილდღეობის წინააღმდეგ. თუმცა, როგორც კი გაიგეს, რომ ევროკომისიისგან დადებითი გადაწყვეტილება იყო მოსალოდნელი, დაიწყეს ერთმანეთის დასმენა, რიტორიკა შეცვალეს და თქვეს, რომ ეს სტატუსი, თურმე, სულაც არ ყოფილა მნიშვნელოვანი...

ან თუნდაც, გამოდის პალიტრანიუსზე „ანალიტიკოსი“ გიორგი რუხაძე და ამბობს, რომ ევროსაბჭოს რეკომენდაცია, თურმე, უკრაინის დამსახურებაა და დღემდე ვერავინ მოიფიქრა ხელისუფლებიდან, აიღოს ტელეფონი, დაურეკოს ზელენსკის და ამისთვის მადლობა გადაუხადოს... - რა კომენტარი შეიძლება გააკეთო ამაზე?! ზელენსკიმ რატომ მიიღო ეს სტატუსი? - იმიტომ, რომ ომში იყო რუსეთთან. გამოდის, რომ რუსეთის დამსახურებაც ყოფილა და თუ რუსეთის დამსახურებაა, იქნებ, პუტინსაც გადავუხადოთ მადლობა! რუსეთს რომ ომი არ დაეწყო უკრაინისთვის, უკრაინა ხომ ამ სტატუსს ვერ მიიღებდა? წარმოიდგინეთ, როგორ აბსურდამდე მიდიან, მზად არიან, ნებისმიერი სისულელე წამოროშონ, ოღონდ რაღაცით ხელისუფლება დააზარალონ.

ვაღიარებ, მაქვს გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ მომწონს ის პოლიტიკა, რასაც ხელისუფლება ატარებს. ზელენსკი ვერ გახდება ჩემთვის გმირი, ადამიანი, რომელმაც თავისი უგუნური მმართველობით უკვე დაკარგა ტერიტორიების 20 პროცენტი, აბსოლუტურად გაანადგურა უკრაინა, დაახლოებით 250 ათასი ადამიანია დაღუპული და ეს კაცი ჩვენ გმირად უნდა მივიღოთ? უკრაინის თავდაცვის მინისტრი ომის პერიოდში იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან და როცა ასეთ დროს მინისტრს ათავისუფლებ, ესე იგი, რაღაც დააშავა ან უვიცია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ! ეს ის კაცია, ვინც თქვა, - კარგია, რომ უკრაინაში ომი მიმდინარეობს, ვინაიდან ეს არის შესაძლებლობა, უკრაინა იქნას გამოყენებული პოლიგონად, სადაც ხდება იარაღის გამოცდა, ეს კი დიდ სარგებელს აძლევს იარაღის მწარმოებელ კომპანიებსო! ომი ნებისმიერ შემთხვევაში პოლიგონად განიხილება, მაგრამ ეს მოიწონო იმის ხარჯზე, რომ შენი ქვეყანა განადგურდეს და შენი მოსახლეობა დაიხოცოს - ხომ წარმოუდგენელია! აღარაფერს ვამბობ, რამდენი ლტოლვილი ჰყავთ უკრაინელებს. გაიხედეთ თბილისის ქუჩებში, მათი ძირითადი ნაწილი ახალგაზრდები არიან. მე ვერ ვარჩევ, რომელი რუსია და რომელი უკრაინელი, მაგრამ ერთი ვიცი, რომ ორივე ერის წარმომადგენლები ომს გამოექცნენ, ორივე კატეგორია წამოვიდა იმის გამო, რომ მათ არ უნდათ ომი, არ უნდათ სიკვდილი. არც პუტინის პოლიტიკას ეთანხმებიან და არც ზელენსკისას. ვიღაცები მოგვიწოდებენ, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ და ვიომოთ უკრაინაში, ასეც არის, იღუპებიან ამ ომში ქართველებიც, მაგრამ რის ხარჯზე? - ესაა საკითხავი! იმისათვის, რომ ამ ადამიანებმა კომფორტულად ისეირნონ თბილისის ქუჩებში?

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს ელისეს სასახლეში მას შემდეგ შეხვდა, რაც ევროკომისიისგან ქვეყანამ რეკომენდაცია მიიღო. ვფიქრობ, ეს ძალიან დროული და მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო ჩვენი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივისთვის.

- იმ დროს, როდესაც შუაგულ ევროპაში ომია გაჩაღებული და არცთუ ისე კარგი სიტუაციაა, ღარიბაშვილის მიღება საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის მიერ, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო სწორედ ევროკავშირთან მიმართებაში ჩვენი ქვეყნისთვის მხარდაჭერის გამოხატვა. როცა ასეთი ლიდერები ხვდებიან, მათ პირად კომუნიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის. აქ არ ხდება უბრალოდ დაპირების მიცემა, ამ დაპირებებს ასრულება უწერია, საფრანგეთი სერიოზული მოთამაშეა, როგორც მსოფლიოში, ასევე ევროპასა და ევროკავშირში, ამიტომ მისი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთხელ მავნებლება ვნახეთ ოპოზიციის მხრიდან, როდესაც „მთავარმა არხმა“, „ფორმულამ“ და „ტვ პირველმა“ თავიანთ

6 გვ. →

საზოგადოება გაიზარდა და რადიკალებს აღარ აყვება

საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა" ერთი წლის გახდა. „ჩვენ მიერ მმართველი პარტიის დატოვების მთავარი მიზეზი გახდა საქართველოს ომში ჩართვის საფრთხე, რომლის პროვოცირების მცდელობაც გარე ძალებს უკავშირდება. მიგვაჩნია, რომ ომის საფრთხე ახლაც რეალურია და მისი თავიდან აცილების გარანტია მხოლოდ საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებამ შეიძლება შექმნას. ვფიქრობთ, მხოლოდ სიმართლით აღჭურვილ ხალხის ძალას შეუძლია, უზრუნველყოს ქართული სახელმწიფოს დაცვა უმძიმესი ზეწოლისგან, რომელიც გასული თვეების განმავლობაში 308 ევროპარლამენტარის მიერ მხარდაჭერილი ევროპარლამენტის რეზოლუციით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებით და გარე ძალების მიერ რადიკალური ოპოზიციისა და მისი რადიკალური ქმედებების დაუფარავი მხარდაჭერით, მათ შორის, პოლიტიზებული ენჯეოებისთვის ნიღბის სრულად ჩამოხსნით გამოიხატა,"- განმარტა მაშინ მმართველი გუნდიდან წასულმა პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა.

რის გაკეთება შეძლეს ერთი წლის განმავლობაში და შეიძლება თუ არა სახალხო მოძრაობა მალე დამოუკიდებელ პარტიად ვიხილოთ, ამის შესახებ გვესაუბრება „ხალხის ძალის" წევრი ზურაბ ქადაგიძე.

- შემაჯამებელი ერთი წელი აღვნიშნეთ. გავცვალეთ ბევრი პრობლემატური მოსაზრება, გვქონდა შეხვედრები რეგიონებში, სადაც დაისვა ძალიან ბევრი კითხვა და კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა ღონისძიებაც. გამოვთქვით იმედი, რომ უფრო აქტიურად ვიქნებით ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკურ პარტიად ჩამოვყალიბდებით თუ არა, - ამ ეტაპზე პასუხს ვერ გაგცემთ, სიტუაცია გვიჩვენებს, თუ როგორი კონფიგურაციით გავაგრძელებთ ოპერირებას. პირველ რიგში, ცალსახად და ზედმეტი „ამპარტავნების" გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს თუ სტატუსის გარშემო დადებითი გადაწყვეტილება მივიღეთ, ლომის წილი მიუძღვის იმ სწორ ბიძგებს და დამოკიდებულებებს, რისი განმსაზღვრელი როლიც ითამაშა „ხალხის ძალამ", რომელიც ყველანაირი გარე ფაქტორისა და საფრთხეების განმანეიტრალებლად, პრევენციის როლში ევლინებოდა საზოგადოებას და აიარაღებდა მას ისეთი უნიკალური სამშვიდობი იარაღით, რასაც სიმართლე ჰქვია. აქვე, ექსკლუზიურად გეტყვით, რომ ძალიან ბევრ კარგ და საზოგადოებისთვის საჭირო სიურპრიზს ვპირდებით ჩვენს ქვეყანას ახლო მომავალში.

- ევროკომისიამ სამართლიანი გადაწყვეტელება მიიღო და საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, რაშიც სწორედ თქვენი გუნდი იყო აქტიურად ჩართული. რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო კონკრეტულ მომენტში ქვეყნისთვის ეს რეკომენდაცია?

- საქართველომ არამხოლოდ კონსტიტუციით, საზოგადეობრივი განწყობებიდან გამომდინარეც აირჩია ძალიან მკაფიო კურსი დასავლური ინტეგრაციის თვალსაზრისით. 2012 წლიდან მოყოლებული, ყველაფერი ეფუძნებოდა იმას, რომ ჩვენი ინტეგრაცია მომხდარიყო ევროსტრუქტრებსა და დასავლეთში. ხელისუფლების მიერ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯებმა მოიტანა ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო მიმოსვლა და ასე შემდეგ, რაშიც დიდი ძალისხმევაა ჩადებული, სწორი პოლიტიკური ნაბიჯებია გადადგმული. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ინტიტუციონალური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და ამას მიჰყვებოდა საზოგადოება.

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი ორი წლით ადრე, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად იმ ფონზე, როცა ყველა საერთაშორისო შეფასებით, ყველა საერთაშიორისო ინდიკატორით, ასოცირების ტრიოში ვიყავით და ვართ ლიდერი ქვეყანა. ეს არის უსაფრთხოების კონტექსტი, ეკონომიკური კონტექსტი, სახელმწიფოს სტრუქტურული გამჭვირვალეობა, ინსტიტუციონალიზმი, კორუფციის ინდექსი თუ სხვა. აქედან გამომდინარე, მოლოდინი იყო, რომ ობიქტური შეფასების შემთხვევაში, როგორც უკრაინამ და მოლდოვამ მიიღო სტატუსი, ასევე უნდა მიეღო საქართველოს, მაგრამ აქ წავაწყდით პარადოქსს, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა უცხოელი აქტორების მხრიდან. ეს სტატუსიც, რაღაცნაირად, დამოკლეს მახვილივით დაგვკიდეს, რაც გარკვეული პირობების სანაცვლოდ, სავაჭროდ უნდა ქცეულიყო. აქ არ იყო ობიექტურ რეალობაზე საუბარი. რადგან გლობალური ომის პარტია, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით ძალიან ბევრი საცეცი აქვს, მისი აქტორები, ზოგიერთი ევროპარლამენტარი და საქართველოში წარმოდგენილი მათი ფილიალები ღიად გადავიდნენ პოლიტკონიუნქტურის შექმნაზე, რათა საქართველოს რუსეთის წინაალმდეგ გარკვეული აგრესიული ნაბიჯები გადაედგა. რაც გამოიხატებოდა უაპელაციო სანქციებით და პირდაპირი კონფრონტაციული დამოკიდებულებით. აწ უკვე ღიად ვსაუბრობთ ამაზე, მაგრამ მაშინ კონკრეტულმა ელჩებმა დაიწყეს საუბარი ქართველ მაღალჩინოსნებთან, რომ, რადგან საქართველოს შეიარაღება აქვს და ამხელა გადამზადებებს გადის, რაღაცაში ხომ უნდა გამოიყენოს?! - სანქციებთან და სხვადასხვა საკითხთან ერთად უნდა დაიწყოს რუსეთის მიმართ კონკრეტული სამხედრო მოქმედებები. ამ საკითხზე სახელმწიფომ დაიჭირა ძალიან მართებული პოზიცია, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ პირველ რიგში, საქართველომ ყველა საერთაშორისო პლატფორმა უკრაინის მხარდასაჭერად გამოიყენა, მაგრამ აქვე გააკეთა მკაფიო განცხადება, რომ ისეთ ასპექტებში ვერ მიიღებს მონაწილეობას, რაც ქვეყანას დააზარალებს. სწორედ ეროვნული ინტერესების საფუძველზე დაიწყო ხელისუფლებამ მკაფიო პოზიციების დაფიქსირება, სტატუსი გადაიქცა საჯილდაო ქვად და შარშან ზაფხულში ჩვენ ვნახეთ ის უსამართლო გადაწყვეტილება, რაც არანაირ ობიექტურ რეალობას არ ეფუძნებოდა. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და იმის გამო, რომ საერთაშორისო აქტორების ხელის გაწკაპუნებაზე არ რეაგირებდა, საქართველო დაისაჯა. ამას უკვე აყვნენ ჩვენი ადგილობრივი ომის პარტიის ფილიალები, არასამთავრობო ორგანიზაციები და რიგი ევროპარლამენტარები, რომლებიც რეზოლუციას რეზოლუციაზე „აცხობდნენ". ვნახეთ ძალიან ბევრი ინსიმულაცია, რათა სტატუსი ქვეყანაში რევოლუციური პროცესების დასაწყებად ყოფილიყო გამოყენებული. თუმცა, სახელმწიფოს სწორმა პოზიციამ, „ხალხის ძალის" აქტიურმა მუშაობამ საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსაზრისით და თვითონ ამ საზოგადოების გონიერებამ, შედეგამდე მიგვიყვანა.

- და მაინც, რას ნიშნავს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის?

- ნოემბრის დასაწყისში, როცა ინფორმაციამ გაჟონა, რომ რეკომენდაციას მოგვცემდნენ, ოპოზიციას თავზარი დაეცა და ჩვენ ვნახეთ მათ მიერ კარდინალურად შეცვლილი დამოკიდებულება. თუ მთელი წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ ეს იყო ხელისუფლების დანაშაული და რომ სტატუსის გარეშე საქართველო იღუპებოდა, უცებ შეცვალეს რიტორიკა და თქვეს, რომ თურმე ის სტატუსი არაფერსაც არ ნიშნავს, ფარატინა ქაღალდია, მეტი არაფერი!

რეალურად კი ეს არის სამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს, ქართველ ხალხს და ქართული სახელმწიფოს რაციონალურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, მათ შორის, ლიდერებს: სახელმწიფო მეთაურს ირაკლი ღარიბაშვილს, სამთავრობო პარტიის ხელმძღვანელს ირაკლი კობახიძეს, მამუკა მდინარაძეს, შალვა პაპუაშვილს... რომლებმაც თავიანთი ქმედებებით დაამტკიცეს, რომ საქართველს შეუძლია ორ ფეხზე დგომითაც, პრინციპული პოზიციით, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, სამართლიანად და ღირსეულად მიიღოს, რაც ეკუთვნის.

ეს პოლიტიური საკითხია და, გარკვეულწილად, იმ ქვეყნებზე წინ აყენებს საქართველოს, რომლებსაც სტატუსი არა აქვს. რჩება გაწევრიანების პროცესი და შემდეგ უკვე გაწევრიანება. ერთი ნაბიჯით წინ არის ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეს სტატუსი საქართველოში საზოგადოებისათვის და გარკვეული პოლიტიური პროცესებისთვის აუცილებელი პირობა იყო, რადგან სამართლიანად გვეკუთვნოდა, მან ცოტა მეტი დატვირთვა მიიღო. საქარველოში ვერ მოხდებოდა რევოლუცია და ამას ბევრი მოცემულობა განაპირობებს. სტატუსის არმოცემის გამო გაცილებით მეტ პრობლემას შეიქმნიდა დასავლეთი საქართველოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, ისინი გადაერთნენ სწორ პოლიტიკურ რელსებზე და იმედი მაქვს, ეს დასრულდება იმავე განწყობით 15 დეკემბერს, როგორც ქალბატონმა ფონ დერ ლაიენმა გაგვახარა ახლა ყველა, ვისაც გვაქვს სურვილი, ვიყოთ დასავლეთის ნაწილი. ამით დასრულდება ერთი განსაკუთრებული ეტაპი საქართველში, როდესაც რადიკალიზმი საბოლოოდ ამოწურავს საკუთარ თავს, რადგან მას აღარ ექნება სტატუსის მინიჭება-არ მინიჭების მანიპულირებით განვითარების შესაძლებლობა.

- მე რადიკალიზმი ამოუწურავი მგონია. ფანტაზიის დიდი უნარი აქვს ოპოზიციას და აუცილებლად გამოძებნიან რამეს.

- საქართველოში, სამწუხაროდ, ოპოზიცია კომაშია, გარდაცვალების ზღვარზეა და როგორი ხელოვნური სუნთქვაც უნდა ჩაუტარდეს, წარმოუდგენელია, რომ წამოდგომა მოახერხოს. მთელი მათი დღის წესრიგი იყო აწყობილი ეგრეთ წოდებული სტატუსის მიცემა-არმიცემაზე და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციაზე, რადიკალიზმზე, რომელსაც ავანგარდში ედო სტატუსის თემა. ეს ადამიანები ნარატივს კარგავენ, გასაგებია რომ მოიფიქტრებენ სხვა რამეს, მაგრამ სტატუსზე მეტი მასშტაბურობისა და „მსუყე ლუკმის" თვალსაზრისით, წარმოუდგენელია, რამე მოიფიქრონ. მე მგონია, იქნება გადაადგილებები, სადაც გარკვეული ძალები დალაგდებიან და სხვა რელსებზე გადაერთვებიან, რადგან სტატუსმა ამოწურა თავისი თავი, როგორც ლიდერმა, რევოლუციის მოწყობის საკითხში.

- რამდენიმე დღის წინ ოკუპანტების მიერ მოკლული კიდევ ერთი ქართველი დაკრძალეს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გააკეთოს ასეთ შემთხვევაში ქვეყანამ თავისი მოქალაქეების დასაცავად?

- იმ მემკვიდეობისგან გამომდინარე, რაც „ქართულმა ოცნებამ" „ნაციონალური მოძრაობისგან" მიიღო, ძალიან დიდი საშიშროებაა ასეთი მკვლელობების, გატაცებე-

6 გვ. →

ქვის სროლით საქართველოში ხელისუფლება აღარ შეიცვლება!

4 გვ.

გვერდებზე საფრანგეთის პრეზიდენტის ქართულად მოლოცვა და ფოტო გამოაქვეყნეს. ოფიციალურ სურათში მაკრონი ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად იყო აღბეჭდილი, მაგრამ მათ ამოიღეს ღარიბაშვილის სურათი და დატოვეს მხოლოდ მაკრონის ფოტო, ისე, თითქოს ჩვენი პრემიერ-მინისტრი იქ არც ყოფილა. ეს არის ისეთი იაფფასიანი ნაბიჯი, შეფასებაც კი, უბრალოდ, სასაცილოა, რა უნდა თქვა! ასეთი გაბოროტებული როგორ უნდა იყო, რომ შენი ქვეყნის სიკეთე გულს გიხეთქავდეს და ყველაფერში სარგებელს ეძებდე!

ჩვენს ოპოზიციას მე ტერორისტებს ვადარებ, რადგან ტერორიზმის ერთ-ერთი მიზანია, აჩვენოს მოსახლეობას, საერთაშორისო თანამეგობრობას და თავიანთ ორგანიზაციას, თუ რამდენად ძლიერები არიან თვითონ და რამდენად სუსტია ხელისუფლება, რომელმაც ვერ შეძლო პრევენციის განხორციელება. ეს არის მათი მიზანი და ამას რომ ვერ აღწევენ, არიან ახლართულები თავიანთ ქმედებებში. დღეს ერთ რაღაცას გამოეკიდებიან, ხვალ - მეორეს, ზეგ - მესამეს...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ადამიანებს ლიდერად მიხეილ სააკაშვილი ჰყავთ, რომელიც იმდენად ჩამოუყალიბებელია თავის მიზნებში, რომ ხან შიმშილობს, ხან „კვდება", ხან უკრაინელი პოლიტიკოსია, ხანაც ქართული პოლიტიკის „აღმაშენებელი", მათგან რა უნდა გაგიკვირდეს! შესაბამისად, მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ არ იცის, სო თანამეგობრობა. მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც ამ ტერიტორიებზე პატრულირებს. უნდა მოვთხოვოთ მათ, რომ უფრო ეფექტიანად იყოს ეს მისია წარმოდგენილი. გრანტების უმეტესობა, რაც საქართველოში შემოდის არასამთავრობო სექტორზე, რომ გადაამოწმოთ, გაოცებული დარჩებით. რაში იხარჯება ეს ფული? ის მილიონები უნდა მოხმარდეს საქართველოს თავდაცვის ძალების და უსაფრთხოების მეტად გაძლიერებას და ამ მისიის უფრო ეფექტიან მუშაობას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უნდა ასრულებდეს თავის ვალდებულებას. მათ უნდა აწარმოონ მუდმივი მონიტორინგი, ვიდეო და ფოტოდოკუმენტაცია ნებისმიერ ფაქტთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მითხარით, რა ფუნქცია აკისრია ამ მისიას, თავის ქნევის, ვიშვიშის და აღფოთება-შეშფოთების გარდა?

ვეთანხმები ირაკლი ღარიბაშვილის ნათქვამს, რომ ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომლის მმართველობის პერიოდში არცერთი ომი არ მომხდარა. მართლაც ასეა. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, არის საკითხები, რაზეც, ვფიქრობ, რომ უკეთაც შეიძლებოდა გაკეთებული ყო, მაგრამ ყველაზე მთავარი, მშვიდობა და ქვეყნის სტაბილური განვითარება შეინარჩუნა ჩვენმა ხელისუფლებამ და არ დაუშვა, რომ ქვეყანა უფსკრულის პირას დამდგარიყო.

საქართველო პატარა ქვეყანაა, თუმცა, ძალიან ჭრელი პოლიტიკური გემოვნება გააჩნიათ ადამიან-

თუ ვინ არის მისი ლიდერი რეალურად: სააკაშვილი, კეზერაშვილი, ხაბეიშვილი თუ სხვა. ამაშიც ვერ ჩამოყალიბებულან და პლუს, არ გააჩნიათ სამოქმედო გეგმა. ამიტომ გამუდმებით ცდილობენ, აჩვენონ რაღაცნაირად, რომ თითქოს ხელისუფლება სუსტია, მაგრამ არც ეს გამოსდით.

- თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ, როცა ოკუპანტი მის მშვიდობიან მოქალაქეს კლავს?

- რა უნდა გაკეთდეს და, უნდა ავაწრიალოთ საერთაშორი- ებს და სწორედ ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი გამოხატულება. აქაც მთავარი უნდა გაითვალისწინო, კარგს კარგი უნდა უწოდო და ცუდს - ცუდი და თუ შენ უკეთ შეგიძლია რაღაცის გაკეთება, უნდა თქვა, რას და როგორ გააკეთებდი, უნდა განვითარდე, რაღაც ისწავლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა. ქვის სროლით და ფანჯრების მსხვრევით საქართველოში ხელისუფლება აღარ შეიცვლება!

ნონა ქარქაშაძე

საზოგადოება გაიზარდა და რადიკალებს აღარ აჰყვება

5 გვ.

ბის და ადამიანების შეურაცხყოფის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საერთაშორისო ბერკეტს იყენებს იმისათვის, რომ გარკვეულწილად მოხდეს ასეთი საკითხების პრევენცია. ჩვენ რომ დღესდღეობით ოკუპაციის პირობებში ოსურ მხარეს ხელის გადაგრეხვით დავასჯევინოთ მარიონეტული მთავრობის საჯარისო შენაერთების წარმომადგენელი, რომელმაც ეს გააკეთა, ძალიან დილეტანტური მიდგომა იქნება. ემოციური თვალსაზრისით, მე არ მეგულება ადამიანი ჩემ გარშემო, ვინც არ იტყვის, რომ მკვლელი უნდა დაისაჯოს. აუცილებლად დაისჯებიან თამაზ გინტურის მკვლელები, თუმცა, ისტორიას რომ გადავხედოთ, ყველანაირი ოკუპაცია დროებითია. უბრალოდ, დროის ფაქტორი და მასშტაბებია სხვადასხვა. დღეს თუ ხვალ, როდესაც დასრულდება ეს ოკუპაცია, აბსოლუტურად ყველას მიეზღვება საკადრისი პასუხი, ვინც ასეთი ბარბაროსული აქტი ჩაიდინა და საქართველოს მოქალაქე მოკლა. მაგრამ ამ საკითხში პოლიტიკური კომპონენტის შეტანა, რომ თურმე სახელმწიფოს აქვს ბერკეტი, რომ ახლა იქ რომელიღაც სეპარატისტი დასაჯოს, არ არის მართებული, განსაკუთრებით, როცა ამას „ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი" მოითხოვს, რომელმაც პირდაპირ დატოვა ასეთი მემკვიდრეობა. ეს არის ობიექტური რეალობა, რომელიც მათ შექმნეს.

საზოგადოება გაიზარდა და ნამდვილად აღარ არის 2003 წელში, როდესაც ინსინუაციური კამპანიების და სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით, შეცდომაში შეიყვანეს ადამიანები. რეალობა არის ერთი - „ნაცმოძრაობის" საშინელი მემკვიდრეობა ნაბიჯ-ნაბიჯ, პრაგმატული პოლიტიკით უნდა გამოვასწოროთ. როდესაც აღდგება სამართლიანობა და საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდება ის ტერიტორიები, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია, დაისჯება ყველა, ვინც დასასჯელია.

- უმაღლესი დონის შეხვედრა შედგა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და პრეზიდენტ მაკრონს შორის, თუმცა ესეც კი სათავისოდ გამოიყენეს რადიკალებმა და ეცადნენ, საზოგადოებისთვის სიტუაციის რეალური სურათი არ ეჩვენებინათ.

- ჩვენმა იმპიჩმენტს გადარჩენილმა სალომე ზურაბიშვილმა ისეთი სიტუტუცე ჩაიდინა, LCI-სთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც მას ჰკითხეს, იმედოვნებს თუ არა, რომ ვლადიმერ პუტინი და სი ძინპინი როდესმე გასამართლდებიან? მან თქვა, რომ პუტინთან ერთად, სი ძინპინიც უნდა გასამართლდეს და რაღაც საერთაშორისო მართლმსაჯულებაზე დაიწყო საუბარი. წარმოიდგინეთ, რა დონეზეა ლაპარაკი, მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, ნაცმედიებმა ზურაბიშვილის ამ სიგიჟის დასაფარად სი ძინპინი ამოიღეს ტექსტიდან და მხოლოდ პუტინი დატოვეს. ასევე, როდესაც მაკრონმა თვითონ დადო ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გადაღებული ფოტო და ქართულად მიულოცა ქართველ ხალხს ეს დიდი წარმატება, ამათ ისევ დაამახინჯეს თემა, ამჯერად ღარიბაშვილის ფოტო ამოჭრეს და მხოლოდ მაკრონის ფოტო დატოვეს.

ესენი ხომ სექტანტებად ჩამოყალიბდნენ, ხლისტებად იქცნენ და ერთმანეთს აჯერებენ რაღაც-რაღაცებს, მაგალითად, ნიკა გვარამიამ თქვა, რომ ხელისუფლებას ევროკომისიის გადაწყვეტილება არ გაუხარდა და ეს მაშინვე აიტაცეს ეკა გიგაურმა და ზოგიერთმა „პრივლეგირებული" ენჯეოს წარმომადგენელმა. ეს ადამიანები ცდილობენ, სასურველი რეალობად გაასაღონ. ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც ჰყავთ ბელადი სააკ- ქვეყნის ბიუჯეტიც გამოხრა. ქმნიდა გარკვეულ კაპიტალს, რომელი კაპიტალითაც დღეს მაგალითად, გიული ალასანია აფინანსებს საერთაშორისო ორგანიზაციებს და აგერ, ამერიკული ფედერალური ბიუროს გამოძიების საფუძველზე, არაერთხელ გამოქვეყნდა დასკვნა, თუ როგორ ქირაობს სხვადასხვა საერთაშორისო ყოფილ მაღალჩინოსანს თუ ანალიტიკოსს გიული ალასანია, რათა მიხეილ სააკაშვილის საკითხი წამოწიოს. კეზერაშვილი ავიღოთ. ადამიანი, რომელიც გამდიდრდა ჯერ ქართული ჯარის და ქართველი ვაჟკაცების ხარჯზე, შემდეგ კი ევროპელი პენსიონერების ძარცვით დააგროვა კაპიტალი. მაგრამ იმ ყველაფრის მიუხედავად, რომ მათ აქვთ კაპიტალი, აფინანსებენ ჟურნალისტებს, არასამთავრობო სექტორს, გარკვეულ პოლი-

აშვილი, რომელმაც დემენცია დაამარცხა, ასზე მეტი დაავადება დაამარცხა, მკვდრეთით აღსდგა, შვილებიც იყოლია ამ პატიმრობის პერიოდში და პოლიტიკურ ლიდერად მოგვევლინა, ამ ადამიანს ეთაყვანებიან და მათგან ასეთი სიგიჟეები სულაც არ არის მოულოდნელი. სამწუხაროდ, გარკვეულ ელექტორატში, სექტის მიმდევრებში, არიან ადამიანები, რომლებიც დღესაც თვალდახუჭული ლოცულობენ მიხეილ სააკაშვილზე, ლექსებს უძღვნიან. ყველა დანარჩენზე მეტი ელექტორატი ჰყავს მაინც „მომაკვდავ" მიშას. მართალია, ეს, საბოლოო ჯამში, არჩევნებზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ მაინც სააკაშვილი ხდება განმსაზღვრელი მთელი რადიკალური ოპოზიციის. აბსოლუტრად ყველა ეს რადიკალი, ეს სასაცილო პოლიტიკანები საუბრობდნენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი კვდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე, ეს კაცი არის ჯანმრთელი, ისინი კი, ვინც სტატუსით ვაჭრობდნენ, საბოტირებას ახდენდნენ მთელი ეს პერიოდი.

ამ ადამიანებს აქვთ დაგროვებული კაპიტალი, აქვთ მედიასაშუალებები და მოაზროვნე ადმიანს არსად აჭაჭანებენ, რომელსაც შეუძლია გაუწიოს ოპონირება ხელისუფლებას. თუმცა, ისეც არავინ დადგება მათ გვერდით, ვისაც ღირსება და თავმოყვარეობა გააჩნია. მიხეილ სააკაშვილმა, სამწუხაროდ, სხვა უამრავ დანაშაულთან ერთად, ტიკურ აქტორებს და ქმნიან ფეიკინფორმაციებს, მათ ვერც ერთხელ ვერ დადეს სასურველი შედეგი ვერც ერთ არჩევნებზე. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ადამიანები არიან მხოლოდ ტელეპროდუქტები, მეტი არაფერი. უკაცრავად და, ოკუპაციის წინააღმდეგ შარვლის ჩახდით მებრძოლ ჯაფარიძეს და რუსული ფედერალური ფულით დაფინანსებულ ხოშტარიას სახეზეც ვერავინ იცნობდა დღეს, ტელევიზია რომ არ ჰქონდეთ. ამ რეალობას, სამწუხაროდ, ხელი შეუწყეს გარკვეულმა ევროპარლამენტარებმა, მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე, რომლებიც ცდილობენ, ხელოვნური სუნთქვის იმიტაცია შექმნან და რადიკალური ოპოზიციური ძალები აცოცხლონ.

მე-12 წელი იწყება, რაც „ქართული ოცნებაა" ხელისუფლებაში და ამ დროის განმავლობაში ძალა არ მოიძებნება, რომ პერსპექტივაში შეძლოს დღევანდელი ხელისუფლების ჩანაცვლება. ეს არის კატასტროფა. მიხეილ სააკაშვილმა და ამ უსინდისო პოლიტიკოსებმა შეჭამეს მთელი სპექტრი. თუკი ვინმე ჩანასახში მაინც მოიაზრებოდა რაციონალურად მოაზროვნე პოლიტიკოსად, აბსოლუტურად ყველა გააქრეს, რადგან დღეს ოპოზიციას წარმოადგენენ ისეთი ადამიანები, რომელთა გვერდით დგომაც კი საზოგადოებრივი გადმოსახედიდან, სირცხვილია.

ნონა ქარქაშაძე

დასავლური ძალები ჯანსაღი ოპოზიციური ძალებით უნდა ჩანაცვლდეს

გვესაუბრება პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, ევროკომისიამ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის ამ სტატუსს?

— სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით და იმის დასაფიქსირებლად, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი აქვს, ევროკომისიის რეკომენდაცია მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ჩვენთან კანდიდატის სტატუსის მოცემა-არმოცემა ოპოზიციამ დესტაბილიზაციის შესაქმნელად გამოიყენა. ზოგადად, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება — კარგიც და ცუდიც, ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ ოპოზიციამ ეს დამსახურება საკუთარ თავზე მიიწერა და ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხელისუფლება გვყავს, ქართველმა ხალხმა გაიმარჯვაო.

— რეკომენდაცია გარკვეული დათქმებით მოგვცეს, რომელთა შორის სამი ახალი დავალებაც არის.

— დიახ, ერთ-ერთია სამართლიანი არჩევნების ჩატარება. საერთოდ, არჩევნების ლეგიტიმაციადელეგიტიმაცია, საკმაოდ მყიფე საკითხია. ზოგ ქვეყანაში ეს დესტაბილიზაციისთვის არის გამოყენებული. შეიძლება ობიექტური არჩევნები სულაც არ ჩატარდეს, მაგრამ შედეგები მაინც აღიარონ, რადგან ხშირად ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური დატვირთვა აქვს ხოლმე. სასურველია, 2024 წლის არჩევნები ოპოზიციამ დესტაბილიზაციის მიზნით არ გამოიყენოს. ფაქტია, ოპოზიცია არჩევნების გზით ხელისუფლებაში ნამდვილად ვერ მოვა, ამიტომ ამას არეულობის მოწყობით ცდილობს. ასეთ შემთხვევაში საქართველოსთვის პროცესები შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ქვეყანაში სტაბილურობა შევინარჩუნოთ. რაც შეეხება, მეორე დავალებას — საგარეო პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამისობაში მოყვანას, ისეთი რაღაცები არ უნდა მოგვთხოვონ, რაც კაზუს ბელის შექმნის და რუსეთთან ომს გამოიწვევს. ჩვენ ოკუპირებული ქვეყანა ვართ, 30 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. გარდა ამისა, ფართო რეგიონში მეორე საომარი მოქმედების დაწყება სახიფათო იქნება. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში არის ლოკალური ომები, რაც შემდგომ ტოტალურ ომებში გადაიზრდება ხოლმე. ვიმეორებ, რომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ცნობილია, რომ ტოტალური ომის შედეგად ხდება ახალი მოცემულობის შექმნა ახალი ჰეგემონიით, საერთაშორისო სამართლით, ფასეულობებით და ასე შემდეგ.

— რა შემთხვევაში ჩაგვითვლიან ევროკავშირის პოზიციებთან დაახლოების დათქმის შესრულებულად?

— ყოველ შემთხვევაში, სანქციები, რაც თავად აქვთ რუსეთისთვის დაწესებული, ჩვენ იგივენაირად ვერ მოვიქცევით, რადგან გაცილებით მეტად დავზარალდებით, ვიდრე რუსეთი. ამას ჩვენთვის ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი საგარეო ურთიერთობები, ძირითადად, რუსეთთან მიმართებით განისაზღვრება. როცა ურსულა ფონ დერ ლაიენი აცხადებს, რომ თურმე უკრაინა ევროკავშირის გზაზე სვლაში ძალიან წარმატებული და სამაგალითოა, ეს მკრეხელობად მიმაჩნია. რადგან, ფაქტობრივად, ქვეყნის მოსახლეობის 44 მილიონიდან 20 მილიონი გასულია, უამრავი მოკლული და დაჭრილია. უკრაინის ბედს არავის ვუსურვებ. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ეროვნულ ინტერესებს იცავს. ასე უნდა გავაგრძელოთ. ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გავდივართ, მაგრამ ჯერჯერობით, საგარეო კურსის შენარჩუნება ხერხდება და ჩვენი ეროვნული ინტერესები პირველ ადგილზეა.

— ჰერჩინსკიმ განაცხადა, იმედია, რუსეთის სანქციებთან საქართველოს შესაბამისობა გაიზრდებაო. მან ფრენების აღდგენას გაუგებარი ფაქტი უწოდა.

— იგივე რიტორიკა გრძელდება, ისევ იმას გვთხოვენ, რაც ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში არ მოდის. მაგალითად, ფრენებს მშვენივრად ახორციელებს აზერბაიჯანი, სომხეთი, მაგრამ მათთან პრეტენზიები არ აქვთ. გაუგებარია, ჩვენ რატომ გვსაყვედურობენ. რუსეთში მილიონამდე ჩვენი მოქალაქე იმყოფება და მათი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, ეს თვითმფრინავები დაუბრკოლებლად დაფრინავს თურქეთში, რომელიც ამ მიმართულებით ჰაბად გადაიქცა და ძალიან დიდი მოგებაც აქვს. ჩვენ ერევნიდან, სტამბოლიდან, ბაქოდან დავდიოდით და მთელი მოგება მათთან მიდიოდა. გარდა ამისა, შემოვლითი გზით ფრენა ჩვენი თანამემამულეებისთვის დიდი დისკომფორტი იყო. ისევ და ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ ორი ოკუპირებული ტერიტორია გვაქვს და ბოლო ოცდაათმა წელმა დაადასტურა, რომ ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად დასავლეთის დახმარება საკმარისად ეფექტიანი არ არის.

— ოპოზიცია აცხადებს: რომ ქვეყანამ სტატუსის მისაღებად ერთი წელი დაკარგა, შედეგად უკრაინას და მოლდოვას ჩამოვრჩით. რაში ჩამოვრჩებით ამ ქვეყნებს?

— უკრაინას და მოლდოვას არათუ ჩამოვრჩებით, პირიქით, დემოკრატიის კუთხით გატარებული რეფორმებით და დასავლური სტანდარტების დაცვით ბევრად ვუსწრებთ. დიახ, ამ ქვეყნებს კი არ ჩამოვრჩით, არამედ რეფორმებს ძალიან კარგად, თანმიმდევრულად ვახორციელებთ. არ ვიცი, ჩამორჩენაში რას გულისხმობენ? — იმას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ტოტალურ ომში არ ჩავებით და საომარი მოქმედებები ჩვენს ტერიტორიაზე არ გადმოვიტანეთ?! მიმაჩნია, რომ ქართული ოპოზიცია ეროვნული ძალა არ არის. ის სხვა ქვეყნების ინტერესებს ახორციელებს, რისთვისაც უზარმაზარ მატერიალურ დივიდენდებს იღებს. ამიტომ მათი აზრი ნაკლებ გასათვალისწინებელია. ვისურვებდი, ოპოზიციაში უფრო კონსტრუქციული და ქვეყნისმოყვარე ძალები მოვიდნენ, რომლებიც საქართველოს საკეთილდღეოდ იღვაწებენ და უცხო ქვეყნის გავლენის აგენტები არ იქნებიან.

— სტატუსის მონიჭების საკითხი 15 დეკემბერს უნდა გადაწყდეს. რა მოლოდინი გაქვთ, ახალ რეკომენდაციებს გადაწყვეტილებაზე გავლენა ექნება?

— ახალი და ძველი დათქმები ისევ დათქმებად დარჩება — ერთ თვეში პოლიტიკაში გლობალური ცვლილებების გატარება შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ ევროპელებს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, ეს თავად მათთვის იქნებოდა ცუდი. ისინი გადაწყვეტილებებს ყოველთვის პოლიტიკური კონიუნქტურიდან და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ. პუნქტები ბიუროკრატიული მექანიზმებია. ამ შემთხვევაში ევროპის ინტერესში არ შედის ჩვენთვის სტატუსის მონიჭებაზე უარის თქმა, რადგან ასე დადგება საფრთხე, რომ საქართველომ პროდასავლურ ვექტორს გადაუხვიოს. ამ ვექტორმა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში გარკვეული როლი შეასრულა, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ეროვნული ინტერესები დგას. მთავარია, მშვიდობა შევინარჩუნოთ.

— რვა ევროდეპუტატმა (კუბილიუსი, ფოტიგა, კრამონი...) განაცხადა, მთავრობას რეკომენდაციების შესრულება არ სურდა, ევროპას ეწინააღმდეგებოდა, თუმცა 15 დეკემბრამდე ჯერ კიდევ დროაო. ეს მუქარაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ?

— ყველამ ვიცით, ეს ადამიანები ორკესტრირებულად ვის სასარგებლოდაც მოქმედებენ. ნაცები მათი დასაყრდენია და პირიქით. ეს პოლიტიკოსები არარელევანტურ, არაობიექტურ განცხადებებს აკეთებენ, რითაც ქართველი ხალხი უკმაყოფილოა. ეს ადამიანები ევროპულ არჩევანს საფრთხის ქვეშ აყენებენ.

— მაკრონმა ქართულ ენაზე დაპოსტა: ევროპისკენ სვლის საკითხში ქართველ ხალხს ერთგულების დამტკიცება აღარ სჭირდებაო. თუმცა, მანამდე რამდენიმე თვით ადრე, გვითხრა, საქართველო ევროპისგან შორს არისო...

— ევროპა მიხვდა, რომ თუ საქართველოს ევროპული არჩევანი საფრთხის ქვეშ დადგება, ეს მათთვის უფრო სახიფათო იქნება, ვიდრე ჩვენთვის. ამიტომ ცდილობენ, ჩვენს მიმართ ლოიალური პოლიტიკა განახორციელონ.

— 2024 წელს პირველი არჩევნები იქნება, რომელსაც სტატუსმონიჭებული ქვეყანა ჩაატარებს. გამოუვა ოპოზიციას არჩევნების ჩაშლა?

— თუ დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭეს, ოპოზიციას ეს სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის აღარ გამოადგება. ჩვენ დაგვიდეს პირობა, რომ არჩევნებმა ნორმალურად უნდა ჩაიაროს. არჩევნები ყოველთვის დესტაბილიზაციის წყაროა. ხელისუფლება შეეცდება, არჩევნები მაქსიმალურად გამჭირვალედ ჩატარდეს და ოპოზიციას საბაბი არ მისცეს, რათა მისი შედეგები ეჭვქვეშ დადგეს. ოპოზიცია, ალბათ, ისევ არეულობის შემოტანაზე იქნება განწყობილი. აქვე, სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ოპოზიციას ხალხში დასაყრდენი აღარ ჰყავს. მათი სრული დისკრედიტაცია მოხდა. გარდა ამისა, ისინი ძალიან დაიქსაქსნენ. არჩევნები ახლა რომ ჩატარდეს, ოპოზიცია იმდენად დეზორიენტირებულია, რომ მარცხისთვის იქნება განწირული.

— პარიზში მშვიდობის ფორუმი ჩატარდა. როგორ შეაფასებთ პრემიერის გამოსვლას?

— ღარიბაშვილი ძალიან სოლიდურ, კარგ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ყველგან გაბედულად საუბრობს. საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩოქბჯენში იყო. საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ქვეყნის როლი, ძალიან იზრდება. მივესალმები პრემიერის გაბედულ გამოსვლებს.

— პარიზის მშვიდობის ფორუმზე პრეზიდენტიც იმყოფებოდა, სადაც განაცხადა, კოალიციური მთავრობა, ევროინტეგრაციის გზაზე საუკეთესო გამოსავალიაო.

— იგივე რიტორიკაა, რაც ოპოზიციას აქვს. მათ სურთ აქ არეულობა მოაწყონ და დესტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდეს. კოალიციურ მთავრობას არ ვემხრობი. ამიტომ ვამბობ, რომ ვითომ ეს დასავლური ძალები, რომლებიც ქვეყნისთვის პრობლემების შექმნაზე არიან ორიენტირებულნი, ჯანსაღი ოპოზიციური ძალებით უნდა ჩანაცვლდეს. იმედია, ეს პროცესი დაჩქარდება.

— არშემდგარი იმპიჩმენტის მერე ზურაბიშვილი ისევ ევროპაში აღმოჩნდა. რა რეაგირება უნდა მოჰყვეს ამ ფაქტს?

— იმპიჩმენტის გამეორება არ შეიძლება. მიმაჩნია, იმპიჩმენტი რომ არ შედგა, ერთი მხრივ, კარგია, რადგან ეს გარკვეულ პოლიტიკურ დესტაბილიზაციას გამოიწვევდა. მთავარია, საქართველოსთვის ზიანის მომტანი ქმედებები არ განხორციელდეს.

თამარ შველიძე

ჯერ მხოლოდ „ბე“ მოგვცეს...

რა წარმატებასა და პროგრესს მოგვიტანს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსი, ვნახავთ, თუმცა ეჭვი მღრღნის და ვფიქრობ, ჩვენი სწრაფვა ევროპისკენ, ერთგვარად, იმ ვითარებას ხომ არ ჰგავს, რომელიც საბერძნეთის ოსმანური ოკუპაციის პერიოდს ეხება:

ათონის მთის მონასტერში უფლის წინაშე წარსადგენად გერონდა ემზადებოდა (გერონდა — ბერი; სასულიერო პირებისადმი მიმართვის ზრდილობიანი ფორმა; ასაკოვანი მონაზონი; ღვაწლმოსული მოძღვარი). მასთან განშორებას ძლიერ განიცდიდა მისი მოწაფე, ახალგაზრდა ბერი, შენ შემდეგ ერსა თუ ბერში, განკაცებული ანგელოზი როგორ და სად ვნახოო. გერონდამ დაამშვიდა, არის ასეთი, თესალონიაში „კოსტა ვაჭარი“ მოძებნე, მისი ტერფის ღირსიც კი არვარ მეო. მოძღვარის დაკრძალვისთანავე წავიდა ახალგაზრდა ბერი თესალონიკში და „კოსტა ვაჭრის“ ძებნაში დიდ საროსკიპოს მიადგა. გაოცდა ბერი, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, გერონდას ნათქვამს უნდა მიჰყოლოდა. არანაკლებ გაოცებულ როსკიპებს ჩაუარა და საროსკიპოს მფლობელის კარზე დააკაკუნა. გაუღო კოსტამ კარი და როდესაც მოისმინა, ვინ იყო, როგორ და რატომ მივიდა მასთან, საკუთარი სადგომიდან მეორე, საიდუმლო კარი გაუღო და უცნაურ სივრცეში გაიყვანა — სამონაზვნე სამოსში გამოწყობილი ათობით ქალი ხელსაქმით იყო დაკავებული. „კოსტა ვაჭარმა“ ბერს აუხსნა, რომ თვეში ერთხელ იგი სტამბოლის მონათა ბაზარს ესწრება, სადაც საროსკიპოს მფლობელის რანგში, მართლმადიდებელი ქვეყნებიდან გატაცებულ ქალწულებს ყიდულობს და მათ გადარჩენის შანსს აძლევს. რომ, ფაქტობრივად, მის მიერ მოწყობილ „დედათა მონასტერში“ ლოცვის, ხელსაქმისა და სულიერი გადარჩენისთვის ყველანაირ პირობას უქმნის საროსკიპოდან შემოსული თანხებით.

ბერმა ჩაფიქრებულმა დატოვა საროსკიპო. ალბათ, ფიქრობდა, რამდენად თავსებადი იყო ერთმანეთთან საროსკიპო და მიწიერი ანგელოზების სამყოფელი, მაგრამ გერონდას მიერ კოსტას უმაღლესი შეფასება გადამწყვეტი და უპირობო იყო მისთვის...

საქართველო ხომ სალხინობელი ქვეყანაა, უჭირს თუ ულხინს, მაინც ილხენს და მოვდივართ ასე. ლეგენდაც კი გვაქვს, დედამიწაზე ადგილები რომ ნაწილდებოდა, ქართველები დაგვიანებით მივიდნენ და როდესაც ჰკითხა არსთა გამრიგემ, სად იყავით, რატომ შეგაგვიანდათო, უპასუხეს, ღვთისმშობლის სადიდებელს ვსვამდით და ამის გამოო. ღვთისმშობელმა ამიტომაც არგუნა ქართველებს საკუთარი წილხვედრი, სამოთხის სადარი წალკოტი დედამიწაზე, საქართველოს ტერიტორიაო. ჰოდა, ახლაც ბუკსა და ნაღარას ვკარით, არიქა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოგვცესო და 20-ლიტრიან ბოცას ვეცით მწვადი-წალამით, ლხინის მიზეზი მოგვეცა — ნეტავ, ჭკუიდან არ გადავიდოდეთ...

თუ გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილის მხურვალე გულშემატკივარი ასაკოვანი ქალბატონი საქართველოს (ფაქტობრივად „ნაცების“) დროშას რომ იქნევდა და ნეტარებით მღეროდა: „რა დროშა მოგვცა მიშამა,/ წითელი, გრძელტარიანიიი“, ახლაც იგივე ტექსტი მესმის, ოღონდ ფერი შეიცვალა, წითლის ნაცვლად „ლურჯი და ვარსკვლავიანი“ გახდა, ტარის სიგრძისას ვერაფერს ვიტყვი, თუ უფრო არ დაგრძელდა, იმავე სიგრძისა იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ ერთი ქალბატონი მღეროდა, ახლა ბევრი ერთად მღერის და კაცებმაც მხარი აუბეს, თან „გილოცავთ! გილოცავთ!“ გასდევს ფონად.

ავლიპ ზურაბაშვილს პრეზიდიუმში არ უყვარდა ჯდომა და როდესაც მიუთითებდნენ, ბატონო ავლიპ, თქვენი ადგილი პრეზიდიუმშია, ამობრძანდითო, პასუხობდა, აქედან უკეთესად გაკვირდებითო. ასე ვარ მეც, ვზივარ პარტერში და ვაკვირდები სრულიად საქართველოს. პაპა ავლიპი რა დასკვნას დადებდა, ვხვდები — რეაქტიული ფსიქოზი!

ნევროზებისგან განსხვავებით, რეაქტიული ფსიქოზებისთვის ფსიქომოტორულ და აფექტურ დარღვევებთან, ბოდვებთან და ჰალუცინაციებთან ერთად, აღინიშნება ისტერიული დარღვევები, რომლებიც ხშირად გონების მოშლით მიმდინარეობს. ავადმყოფები კარგავენ საკუთარი მდგომარეობის კრიტიკულად შეფასების, ქცევის კოორდინირებისა და შექმნილ სიტუაციაში ადეკვატურად მოქცევის უნარს...

„— დალი!

— ჩტო დალი!

— დვაცატშესტ ბე დალი“

(„მხ/ფ „მიმინო“)

ფილმის პერსონაჟის, რუბენ ხაჩიკიანისა არ იყოს, ასეა ჩვენი საქმეც, „ბე“ მოგვცეს, „ბე“ და რა ტაშ-ფანდური ატყდა? ცალკეული წმინდანის წამების დღის მოლოცვისა არ იყოს, რას ულოცავენ ერთმანეთს, რა სჭირთ, სიტყვება მაინც მიიხატე სახეზე, რატომ ჰგავხარ ლიმონნაჭამს? არა, ოპოზიცია ღიმილს როგორ მიიხატავს, ისეთ ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი, ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლი ესიზმრება უკვე, ოღონდ ჯერ არ იციან, რანაირად მოქარგონ ეს ამბავი...

პირადად ჩემი პოზიცია ასეთია — რაღაც კავშირს, რომელმაც გაამართლა კონტრაცეპტივებზე თამარ მეფის (ზოგადად, მართლმადიდებელი წმინდანების) მიხატვა, ვერანაირად ვერ მოვიწონებ და ვერ მივესალმები; თუ მაქებს, დავფიქრდები, საჩემოს კი არა, საიმათო საქმეს ხომ არ ვაკეთებმეთქი. უპირველესად, ვიტყვი, სულაც არაფრად რომ არ უღირდეს ვინმეს მოცემული რეკომენდაცია და ევროკავშირი, მხოლოდ იმიტომ მაინც არის ფასეული, რომ საფუძველი გამოაცალა დეკემბერში დაგეგმილ ე. წ. მაიდანს და, შესაბამისად, ე. წ. ანტიმაიდანსაც — დანარჩენს კი მივყვეთ, ვნახოთ, რა ხდება საყველიეში...

მეგი გოცირიძემ მიახალა საქართველოს, მიშასი და ევროკავშირის ღირსი კი არა, „მაკდონალდსში“ არ ვართ შესაშვებიო. ჩკონია-კოლა-კოკა რა ხასიათზე დადგება, არ მაინტერესებს, მე მხარს ვუჭერ მეგი გოცირიძეს, არ შეგვიშვან „მაკდონალდსში“!

ე.წ. ოპოზიციის, ანუ უცხო ქვეყნების აგენტების ლაი-ლაის ამბავი ასე დაიწყო: თუ რეკომენდაციას მოგვცემენ — ხელისუფლების კი არა, ხალხის დამსახურება იქნებაო — იგულისხმებოდა, ჩვენი დამსახურება იქნებაო;

თუ რეკომენდაციას არ მოგვცემენ — ხელისუფლების ბრალი იქნებაო.

ახლა წინ წაიჩოჩეს: საქართველოს სტატუსი აქვს, ოღონდ ვერავინ მიიწერსო;

თუ 15 დეკემბერს საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს, მთავრობა უნდა გადადგესო.

თუ საქართველოს არ მიანიჭებენ კანდიდატის სტატუსს და



ბის მნიშვნელობის აღქმის უნარი დაკარგეს?

რეკომენდაცია — ვისიმე მუშაობის, საქმიანობის დადებითი დახასიათება წერილობით ან სიტყვიერად.

ჰოდა, რას ულოცავენ ერთმანეთს, რომ სადღაც კარგად დაახასიათეს? ან „პოლიტიკური გამარჯვება“ დაარქვან, ან „ტაქტიკური გამარჯვება“, ან რამენაირი რაღაც გამარჯვება, სულაც თუნდაც „ვიწროპარტიული გამარჯვება“, რომ გამარჯვება მაინც გახდეს მისალოცი...

ფაქტობრივად, პაპა ავლიპთან ვაფრინე ელვა-დეპეშა!

„დიახ, საქართველოს სტატუსი აქვს, მაგრამ მას ვერავინ მიიწერსო“, რომ გამოაცხადეს ანონსად — კარგი, ვთქვათ, ისე გიხარია ვიღაცამ სადღაც კარგად რომ დაახასიათა საქართველო, დამსახურების მითვისება გინდა. ვიღაცა ხარ, ღიმილი და კმაყოფილეამიტომ საქართველოს მთავრობა უნდა გადადგეს, რადგან მისი ბრალი იქნება, თუ მიანიჭებენ, რატომ არ არის მთავრობის დამსახურება? მოკლედ, წარმატება ოპოზიციის არის, წარუმატებლობა — მთავრობის. ამათ რომ ჰკითხო, ხალხი ცალკე შედის ევროკავშირში, მთავრობა — ცალკე. ესენი თუ ჯანმრთელები არიან, დამსახურება-ბრალეულობას ასე როგორ ანაწილებენ?

ჯერ არაფერი მოუციათ, მხოლოდ „ბე“ მოგვცეს, ახალი სტაფილო ჩამოგვიკიდეს ცხვირწინ, მაგრამ ის „ბეც“ რომ არ მოეცათ, ამიტომ დაძრწოდნენ ევროპის ქვეყნებში საქართველოს მავნებელი საქართველოს მოქალაქე უცხო ქვეყნების აგენტები და ცრუ ინფორმაციებს აწვდიდნენ ევროპარლამენტარებს.

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი გამოცქრიალდა და გვითხრა: „ვაფიქსირებთ, რომ მთავრობამ გადადგა ნამდვილად პოზიტიური ნაბიჯები. შესაბამისად, კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი.“ ეს გავეშებული აგენტი-სპეკულანტები დეიდა ურსულასაც კი აღარ უჯერებენ...

იქით ჯოზეფ ბორელი გამოიბარჯღა: „ქართველმა ხალხმა არაერთხელ აჩვენა საკუთარი ურყევი ერთგულება ევროპული ღირებულებებისადმი. ევროკომისია საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას აძლევს. ევროკავშირის კარი ღიაა. ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის გზაზე.“

ეგენი ვინ არიან, როდესაც ზურაბ „გირჩი“ ამბობს, ლაზარე გრიგორიადისის დამსახურებაა, მას უნდა ვუმადლოდეთ საქართველოში ევროპული მომავლის შემობიჯებასო. რას ამბობს ეს პოლიტცვედანი, სწორად მესმის? მამის დუნდულაში დაჭრა, მოლოტოვის კოქტეილით პოლიციელის დაწვა, სახის უცნაური მოხატვა თუ უცნაური ჩაცმა (და კიდევ სხვა რამეც) არის ევროკავშირის საშვიო, რაღაც საგანმანათლებლო კლუბებში ამას აჯერებენ გაუნათლებელ მოზარდებს? როგორც ჩანს, ასეა...

რა ამ სიტყვის პასუხია და ახლა ჩვენ „რუსული ოცნების“ „რუსული რეკომენდაცია“ მივიღეთ?

ბისმარკის სიტყვებია: „100 შავი და 100 წითელი ჭიანჭველა რომ მოვათავსოთ ქილაში, არაფერი მოხდება, მაგრამ თუ ამ ქილას ძლიერად შევანჯღრევთ, ჭიანჭველები დაიწყებენ ერთმანეთის ხოცვას. წითლები შავებს თავიანთ მტრებად მიიჩნევენ, ხოლო შავები წითლებს. სინამდვილეში, ნამდვილი მტერი ის არის, ვინც ამ ქილას ანჯღრევს. იგივე ხდება ადამიანებშიც. ასე რომ, სანამ ადამიანები ერთმანეთს თავს დაესხმებიან, უნდა იფიქრონ, ვინ ანჯღრევს ქილას.“

ვინ ანჯღრევს „ქილა-საქართველოს“, კარგად ვიცით, ამიტომ ატეხეს გნიასი მარტში, ჰოდა, ამიტომაც სასწრაფოდ და აუცილებლად მისაღებია ამერიკული კანონი „ფარა“, სწორედ პირდაპირ გადმოტანილი და არა შერბილებული!

„ბე-ს ორმოცი“ როდის გვიწევს, 15 დეკემბერსო?

გამამხიარულა ბატონი დავით ქართველიშვილის ენამახვილობამ: „და აი ისიც - ნიკა გვარამია, თავისი აბდაუბდა ტექსტით, „პირველი მერცხალი“ ბრიუსელში გამოცხადებული ვერდიქტის „ქავერისა“ და ინტერპრეტაციის ავტორი. მოგვცესო (ამათი დედა ვატირეო)! მაგრამ, მოგვცესო კრედიტის „პონტშიო“! 15 დეკემბერს „ნაფიც მსაჯულთა“ სრულმა შემადგენლობამ უნდა დაადასტუროსო, და შეიძლება ისეც მოხდესო, რომ სრული კონსენსუსი (ამის დედა ვატირეო) არ შედგესო. ამიტომ, 40 დღით ადრე ნუ გავიხარებთო მაინც და მაინცო და „ჩერეზჩურო“ - „საზვერეები“ ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვსო.

თუმცაო, ჩვენ კი არა - ეს „საზვერეები“ ხელისუფლებას აქვსო გასავლელი და ჯერ კიდევ დრო გვაქვსო, რომ ჩვენმა ლუციფერის მეზვერეებმა მაქსიმალური დისკომფორტი შეუქმნან მას. ისეთ დღეში ჩააგდონ, რომ „ჭეშმარიტ“ (ანუ, ჩვენებურ) ევროპულ ფასეულობებს ვეღარ გაუძლონ, ქვესკნელს დანებდნენ და „ედემის ბაღამდე“ ვეღარ მიაღწიონ. აი ეს არის მოკლედ, ნაცსექტის ბანაკიდან გამოტანილი „სიხარულის“ ჩემებური პირველადი შეფასება“.

აქეთ ჭიჭე-ბიჭი გამოვარდა: „ვინ არის ცხრა პირობის შემსრულებელი? ხომ იცით, რომ ჩვენ გამკეთებლები ვართ, მოგვეცით შესაძლებლობა და ცხრავე პირობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე უმოკლეს ვადაში შესრულდება!“ ახლა ეს რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში წაიყვანო გამოკვლევაზე, გეტყვიან, ფსიქიურად ჯანმრთელიაო!

სასაცილო ამბავია, ხალხს ის ადამიანები ახსენებენ, რომელთაც ხალხი ფეხზე ჰკიდიათ და, შესაბამისად, ხალხსაც ფეხზე ჰკიდია...

გარკვევით ითქვა, რაგინდ მოგვთხოვოთ და ვინც უნდა მოგვთხოვოს, ქართველი ხალხის სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ არ წავალთო და ეს სალახანა ყველაფერზე ხელისმომწერი ვარ აგერო. ჩემს სიყრმეში ერთი ველისციხელი სომეხი მოხუცი კაცი იყო, გრიშა ძია, იმან იცოდა ფანდურზე დამღერება, სადაც ტექსტში ასეთი ფრაზა იყო: „ოღონდაცა ფული მამეცით, საიდანაცა გინდათ შა... ცითო“, ასეა ამ კრებსითი ჭიჭეების საქმეც...

გადავხედოთ ქვეყნებს, რომელთაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი აქვთ, რომელი წლიდან „დგანან და ელიან, უსაზღვროა მათი ლოდინი“: თურქეთი 1999 წ; ჩრდილოეთ მაკედონია 2005 წ; მონტენეგრო 2010 წ; სერბეთი 2012 წ; ალბანეთი 2014 წ; ბოსნია-ჰერცოგოვინა, უკრაინა და მოლდოვა ვის დაჰკარგვია, ცოცხალი რიგი დგას. 15 დეკემბერს რომც მოგვცენ კანდიდატის სტატუსი, თურქეთის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, იმდენი ხანი დაგვაყუდებენ ევროკავშირის ღია კართან, ან ვირი მოკვდება ორპირში დგომით, ან ვირის პატრონი. იმასღა ვდარდობ, ეს „ბე“ ისეთივე ხომ არ არის, „მაპზე უკეთესი“ რომ იყო? ორპირა, ორგულ და ორმაგი სტანდარტის მქონე მსოფლიოსგან რა უნდა გამიკვირდეს ან მეწყინოს, მხოლოდ წინსწრებით მაინტერესებს, ამბად მინდა საიქიოში წავიღო... თქვენი ჭირიმე, თურქეთის მაგალითი მალაპარაკებს, მათუსალა ხომ არ ვარ, 25 წლის შემდეგ აბა, სად ვიქნები თუ არა საიქიოში?

ჩემდა ჭირად ტელეეკრანს გავხედე და ჩამესმა: „შეასრულებს თუ არა „ქართული ოცნება“ დათქმებს დეკემბრამდე კანდიდატის სტატუსის მისაღებად?“ — საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა ისეთი სახით იკითხა, ვითომ ძალიან კარგად ესმის, რა იკითხა და ბარემ, მოაყოლა, ოპოზიციას არ აქვს იმედი, რომ „ოცნება“ ამ დათქმებს შეასრულებს.

ყველანაირი ლექსიკონი, მათ შორის, საერთაშორისო სამართლისაც, ტერმინ „დათქმას“ ერთნაირად განმარტავს. წამყვანის შეკითხვას რომ მოისმენდა მაყურებელი, მხოლოდ ერთს დაასკვნიდა — „ქართული ოცნება“ 15 დეკემბრამდე 9 დათქმას ვერ და არ შეასრულებს, შესაბამისად, არც კანდიდატის სტატუსს მიიღებსო და ერთი წყება გაიხარებდა, მეორე — ცხვირს ჩამოუშვებდა.

ის რაც ე. წ. ოპოზიციურმა, რეალურად, მავნებელმა დეზინფორმაციულმა ტელევიზიებმა „დათქმად“ გამოუცხადეს მათ დამჯერ მაყურებელს, რეალურად, ევროპელი ოფიციალური პირების მიერ „ნაბიჯებად“ არის მოხსენიებული.

ევროკომისიის რეკომენდაცია იმის გათვალისწინებით გაიცა, რომ მთავრობა რეფორმების კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.

დიდი ამბებია „საყველიეში“! ყველას ვერ გადავწვდები, მაგრამ ამ ერთ პერსონას გვერდს ვერ ავუვლი! თამარ ჩერგოლეიშვილი, რაგინდ გაიყონ და დანაწევრდნენ, მაინც ნაცაჯაფსანდალში მოიაზრება, მაგრამ ცალკე ტიპაჟია — ისეთს იტყვის, ისეთს გააკეთებს, ერთი „ტაბულა ბიცოლას“ აუცილებლობას მიჩვენებს პარლამენტში. ქალი, რომელიც გადასარევად აღიქვამს რეალობას და არც იქითა მხარისთვის ერიდება სიმართლის პირში მიხლას, არც აქეთა მხარისთვის;

ახლაც, „პირველში“ ისე გააოგნა წამყვანი, ვეჭვობ, აღარსად გამოაჩენენ: „ორი წელია, სტატუსზე ვლაპარაკობთ, ანუ თემაზე, რომელიც ჩვენზე დამოკიდებულიც არ იყო, სადღაც გარეთ უნდა მომხდარიყო, ჩვენს მიღმა. მერე რაც მოხდა, ვნახეთ, ოპოზიციაში (ჩვენს გარდა, „ევროპული საქართველოს“ გარდა), ვითომ ამ სტატუსისთვის იბრძვიან, მერე შეატრიალეს პოზიციები... ახლა გაცილებით რთული იქნება იმაზე კამპანიის აწყობა, რაზეც დანარჩენი ოპოზიცია კამპანიას აწყობდა „თქვე რუსებო, რუსებო, რუსებო!“

კი, ჩვენც მიგვაჩნდა, რომ რეჟიმი პუტინისტურია, მაგრამ „რეჟიმი პუტინისტურიას“ ძახებით ქართველ ხალხს ვერ გადავაწყვეტინებთ, რომ რეჟიმი უნდა შეცვალონ, მათთვისაც უნდა იცვლებოდეს რამე...

ხელში რა გვიჭირავს — ორი წელი ოპოზიციამ იყვირა „რუსი, რუსი“, რაღაცა „მონა.ჯი-ები“ აკეთა და ახლა იმ ხალხს, ვინც მონა-ჯი-ზე განათავსეს, ევროპაში შესვლას ულოცავდნენ. ხალხის გარეშე ჩვენ რეჟიმს ვერ შევცვლით, მისი იმპულსი ჩვენს დღის

წესრიგში უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ ჩვენთან ამოყირავებულია ყველაფერი, ძაფებით იმართება მთელი პოლიტიკური სპექტრი.

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ „ოცნებას“ სტატუსი უნდა! მთლიანად ოპოზიციაც დააყენა ამ სტატუსის მიღებაზე — ოპოზიციას ხომ სხვა არაფერზე დაუხარჯავს დრო. ეხლა რას აპირებენ?! ოპოზიცია არაფერს არ აპირებს, სრულიად დეზორიენტირებულია, არცერთი ოპოზიციონერი თავის თავს არ წარმოადგენს, ყველაფერი „რასკლადდება“ სადღაც კვიპროსზე, ან სადღაც „ვივამედში“, ანუ ანგარიშვალდებულება არ გააჩნია ქართულ ოპოზიციას ქართველ ხალხთან. დონორი წყვეტს, რომელი ლიდერი სად წავიდეს, როგორ მოვიდეს, ასე არის დალაგებული.

ბიძინა სულ მოგვიგებს! იცით, რატომ? ოპოზიციის შიგნით ჩვენ ძალიან დიდი სისტემური პრობლემა გვაქვს — ჩვენ ხალხს ძალას ვართმევთ. ბიძინა შეიძლება დაამარცხოს ძლიერმა საპროტესტო ელექტორატმა, მაგრამ საპროტესტო ელექტორატს წართმეული აქვს სიტყვის უფლება, იმიტომ, რომ „ვივამედიდან“ იწერება ბელადი, ახალგაზრდა იყოს სიაში თუ „ძველგაზრდა“, არანაირი როლი მათ არ აქვთ; ლიდერები არჩევნების შემდეგ ქრებიან, ან მცდელობა აქვთ, გააქრონ და ახლები ჩნდებიან ისე, რომ ამომრჩეველს არავინ არაფერს ეკითხება, ყველაფერი ჩრდილში იხლართება — ამომრჩეველს ძალა აქვს გამოცლილი... ბიძინა სტატუსითაც და უსტატუსოდაც იპარპაშებს...

სტატუსით უფრო გართულებულია ჩვენი ამოცანები, იმიტომ რომ, თუ ვინმე ყოყმანობდა, ბიძინა პრო-რუსია თუ პრო-დასავლელი, ახლა გაბრიყვებულია, დარწმუნებულია რომ პრო-დასავლელია, იმიტომ, რომ მიიღო სტატუსი.

შალვა რამიშვილს ჰქონდა ის მესიჯი, რასაც „ოცნება“ არჩევნებამდე დააჯდება: ბიძინა არის მაგარი; რუსეთთანაც დაალაგა — უვიზო მიმისვლა გახსნა, ფრენები დაიწყო — ამხელა ეკონომიკური სარგებელი შემოგვდის რუსეთიდან; ევროპელებსაც არ დაუთმო, ცალ ფეხზე არ დადგა, ღირსება შეგვინარჩუნა, მაგრამ აქვთ სალაპარაკო, მისცეს. ოპოზიციამ უძახა „რუსი, რუსი“ და რა, აგერ სტატუსიც მიიღო, ცალ ფეხზე კი არ დაუდგა, ევროპელებს აგინა და ეგრე გამოსტაცა, რაც უნდოდა; რუსებთანაც დაალაგა; არც უომია — ეს იქნება მაგათი მესიჯი და როგორ არ გაგვირთულდა საქმე! დამაჯერებელია ეს მესიჯი და იმიტომ! ოპოზიცია არ არსებობს ხალხის მხარდაჭერის გარეშე! ტელევიზიებში რომ ხალხი მიდი-მოდის, ის ოპოზიცია არ არის! ხალხს თუ არ სჯერა იმის, რომ ბიძინა პრორუსია, დედაჩემი და მამაჩემი რომ მეუბნება რამეს, თუ არ მჯერა, იმათ არ ვუჯერებ და ვინ არის ოპოზიცია, რომ იმას დავუჯერო!

კარგი ტაქტიკოსი ის არის, ვინც ჯანდაბაში გაგაგზავნის და მიგიხარია, რა!

იქნებ, მავანთ არ მოგვწონდეს რაღაცები, მაგრამ იმ ახალგაზრდა ბერის მსგავსად ვართ განწყობილი, დაე, ისე იყოს, როგორ პრემიერმა (გუნდმა) გადაწყვიტა!

ზურა ოზხერელი

რუსეთმა ფრონტის ხაზი ახლო აღმოსავლეთში გადაიტანა და ომში „წუთშესვენება“ აიღო

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იგორ კვესელავა:

— ბატონო იგორ, რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება ჩიხში შევიდა. უკრაინის მაღალი თანამდებობის პირებმაც აღიარეს, რომ რუსეთის გამოფიტვის მცდელობა შეცდომა იყო. როგორი გაგრძელება ელის ამ ომს?

— რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით, თავიდანვე კეთდებოდა პროგნოზები, რომ ორ-სამ თვეში თუ არა, ერთ წელიწადში მაინც დამთავრდებოდა. მერე პრიგოჟინის თემაზე მოსკოვში განვითარებული მოვლენებისას ამბობდნენ: აი, „ვაგნერი“ შევა მოსკოვში და, ფაქტობრივად, რუსეთი დამთავრებულიაო. იცით, რა მიკვირს? — ამ პროგნოზებს მეცნიერები, მკვლევარები აკეთებდნენ. ეს მაშინაც სასაცილოდ მიმაჩნდა და ახლაც. ამ ომს მე ამერიკა-რუსეთ-უკრაინის ომს ვუწოდებ. მეტიც, ის ამერიკის, უკრაინისა და რუსეთის საზღვრებსაც გასცდა და არგამოცხადებულ მესამე მსოფლიო ომად გადაიქცა. ეს ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში რომის პაპმაც აღნიშნა. ომში მსოფლიოს ბევრი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის, აზიურიც. აუცილებელი არ არის, უკრაინას ზარბაზნებსა და ქვემეხებს უგზავნიდე. როცა მას იდეოლოგიურად, ასევე, ეკონომიკურად ეხმარები და სხვა სახელმწიფოს ბლოკადას უცხადებ, ეს ნიშნავს, რომ მის მხარეს ხარ. იარაღის მიწოდებაც ომში მონაწილეობაა. რუსეთ-უკრაინის ომი მეორე მსოფლიო ომისგან განსხვავდება. ეს გახლავთ ომი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით. აქ სამი კომპონენტია გაერთიანებული, რაც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ომი უფრო მეტად უკრაინას ანადგურებს, ვიდრე რუსეთს.

პარადოქსია, მაგრამ ამ ომით რუსეთი კი არ დასუსტდა, პირიქით, მოგებაც ნახა. ხომ უნდა დაფიქრებულიყვნენ, სანქციების დაწესება რას გამოიწვევდა? — ბენზინის, ხორბლის ფასმა აიწია, რითაც რუსეთმა მოიგო. ფასების მატება საქართველოზეც აისახა. ეს იმის დასტურია, რომ ეს ომი საქართველოსაც დაეტყო, ევროპასაც, თავად რუსეთსაც და ბევრ სხვა ქვეყანასაც. რუსეთი ამბობს, რომ ეს სამხედრო ოპერაციაა. წარმოგიდგენიათ, ომი რა იქნება?! საინტერესოა, ომისთვის ემზადებიან თუ სამხედრო ოპერაციით აპირებენ უკრაინის დამარცხებას? დღეს უკრაინა განადგურებულია — დაწესებულებები დანგრეული, ხალხი — ზოგი დახოცილი, ზოგი დაჭრილი, ზოგიც გაქცეული.

ჩნდება კითხვა: როგორ უნდა აღდგეს უკრაინა — ლენდ-ლიზის პროგრამით? — კი ბატონო, ეს უკიდურესი გამოსავალია. ამერიკამ ანალოგიური საბჭოთა კავშირის პერიოდშიც გააკეთა, რასაც სტალინმა მოაწერა ხელი. ეს რას ნიშნავს? — ვთქვათ, იარაღი თუ ერთი დოლარი ღირს, გადახდის გახანგრძლივების შემთხვევაში მისი ფასი ათ დოლარამდე ადის. ლენდ-ლიზი ჩვენთან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 2006 წელს დამთავრდა, რასაც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ — რუსეთმა მოაწერა ხელი. ამჯერად ლენდ-ლიზის პროგრამა დაახლოებით ორმოცდაათ წელს გაგრძელდება.

— ბატონო იგორ, რისთვის დაიწყო ომი — ტერიტორიებისთვის?

— ეს არ გახლავთ მხოლოდ ტერიტორიების საკითხი. წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ, როგორ მიიღო უკრაინამ სახელმწიფოებრიობა. რაც შეეხება ყირიმს, ის თავის დროზე ცოტა ხნით დამოუკიდებელი იყო. მის მიმართ ყოველთვის დიდი ინტერესი არსებობდა, რადგან შავი ზღვის ერთ-ერთი საზღვაო ცენტრია. ყირიმი სამასი წელი რუსების იყო. იმ პერიოდში ყირიმის გაჩუქება, რუსეთისთვის გარკვეული ტერიტორიების ჩამოჭრა და უკრაინისთვის მათი გადაცემა მოხდა. ყირიმი საბჭოთა კავშირს ძალიან სჭირდებოდა. საბჭოთა კავშირი ერთიანი სამშობლო იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყირიმი ვის შემადგენლობაში იქნებოდა. მაშინ რუსეთთან საზღვრებიც კი არ გვქონდა. ანუ, ტერიტორიების გაცვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო როგორც უკრაინისთვის, ისე კრემლისთვისაც. მოსკოვმა მიიღო ის, რაც მიიღო იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რომელსაც მოწინააღმდეგეებისთვის პასუხი უნდა გაეცა.

უკრაინა ევროპაში წიაღისეულით ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, ასევე, მას აქვს ნავთობი, ხორბალი. ეს წიაღისეული განსაკუთრებით დონეცკსა და ლუგანსკში მოიპოვება და, ალბათ, გასაგებია, რატომ მიდის ბრძოლა ამ ტერიტორიებისთვის... მოსკოვში უკვე ამ ომს აფასებენ მოსკოვში უკვე საუბრობენ, რომ ამ ომთან მიმართებით, ბაიდენმა შეცდომა დაუშვა. მან უკრაინის ხელისუფლებაში მოიყვანა ადამიანი, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას დასთანხმდა. თორემ ომი ჯერ კიდევ 2014 წელს მზადდებოდა. ყველას გვახსოვს, როგორ არიგებდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიდანზე ფუნთუშებს. ეს იარაღის დარიგებას ნიშნავდა, მაგრამ იმ პერიოდში ომის დაწყება ვერ მოხერხდა. წლები გავიდა და ფუნთუშა იარაღად გადაიქცა.

საქმე ის არის, რომ ომმა სულ სხვა ხასიათი მიიღო. ის, ძირითადად, პოლიტიკური ხასიათისაა და მასთან ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხებია მიბმული. ჩემი ინფორმაციით, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყება გარდაუვალი იყო. მომდევნო წლებში ნათელი მოეფინება, თუ რა და როგორ მოხდა. ამ ომისთვის ემზადებოდნენ ამერიკაც, უკრაინაც და რუსეთიც. რუსეთს ომი ორი ან თუნდაც ერთი წლის მერე რომ დაეწყო, უკვე დაგვიანებული იქნებოდა.

ახლა რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში დატრიალებულ მოვლენებს, აღსანიშნავია, რომ არაბებს და ებრაელებს ერთი ძირი აქვთ. სტალინმა ებრაელებს საცხოვრებელი ადგილები გამოუყო. ერთი პერიოდი ებრაელების დასახლებას ყირიმშიც აპირებდნენ. იქ ახლა ბევრი ებრაელი ცხოვრობს. მაშინ ჩაფიქრებული იყო, რომ ყირიმში ებრაელთა რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო. მაგრამ სტალინმა ეს გეგმა არ მოიწონა და მათ ადგილები ციმბირის იქით მისცა, სადაც ებრაელების ნაწილი ცხოვრობდა. მაგრამ ებრაელები ჭკვიანები არიან და ამ ტერიტორიიდან წამოვიდნენ. იგივე სტალინმა 1946-47 წლებში, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვიტა ებრაელები ახლო აღმოსავლეთში დაესახლებინა, სადაც დღეს სახლობენ. ეს იყო სადგისი არაბულ საჯდომში. ებრაელებმა სტალინი დააფასეს. მის გარეშე მათ სახელმწიფო არ ექნებოდათ იქ, სადაც ამჟამად არიან. საქმე ის არის, რომ იქ ნავთობით მდიდარი ადგილებია. ვისი იქნებოდა ნავთობი, ამას მსოფლიოსთვის მაშინ უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას წინათ კატარში მქონდა შეხვედრები, სადაც საინტერესო რამ მითხრეს: ოცდაათი წლის მერე კატარში ნავთობი აღარ იქნებაო. ნავთობი ილევა, ის მუდმივი არ არის. მათ მითხრეს, რომ ემზადებიან ნავთობის ამოწურვის შემდგომი პერიოდისთვის. ორმოცდაათი-ასი წლის მერე არაბული სამყარო საინტერესო არავისთვის აღარ იქნება. რაც შეეხება უკრაინას, ის საინტერესო ქვეყანაა და აქტუალობას არასდროს დაკარგავს — მას წიაღისეული გააჩნია. ამიტომ ამერიკის გათვლებით, უკრაინა უნდა გამხდარიყო სადგისი რუსეთის, ასევე, ევროპის საჯდომში.

ევროპა ამერიკას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს. ევროპას ეგონა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი მალე დასრულდებოდა და ეს მათ ეკონომიკურ აღმავლობას მოუტანდა. არადა, პირიქით ამას ყველაფრის გაძვირება მოჰყვა. სოციალურმა თემებმაც წინ წამოიწია. ევროპა, პირველ რიგში, გერმანია და საფრანგეთი, მიხვდნენ, რომ უკრაინის გაძლიერება, მათ დასუსტებას ნიშნავდა. მაკრონი და შოლცი კონფედერაციული გეგმის შემუშავებას იწყებენ — ფიქრობენ, რომ ევროპაში ზესახელმწიფოები გახდნენ, კონფედერაციით გაძლიერდნენ და თავიანთი სამხედრო არმია შექმნან. ასე რომ, ამერიკა გულზე არც ევროპას ეხატება.

— როგორ ფიქრობთ, ახლო აღმოსავლეთის ომის ფონზე, დასავლეთი უკრაინას რუსეთის პირისპირ ხომ არ დატოვებს?

— დიდი მადლობა, ძალიან გონივრული და ღრმა შეკითხვაა, ამაზე საუბარი ისედაც მინდოდა. დასავლეთი უკრაინას არ მიატოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ წნეხს განიცდის. წარმოიდგინეთ, ყველაფერი, რაც ახლო აღმოსავლეთში მოხდა, რუსეთის ნამოქმედარია. „ვაგნერის“ მოსკოვში „შეჭრაც“ კი კრემლში დაიგეგმა. პუტინი ძალიან ძლიერია. ის რომ არა, რუსეთი დაიშლებოდა. ამერიკელი პოლიტიკოსები ეჭვს გამოთქვამენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომიც კრემლის მიერ იყო შეგულიანებული. დიახ, ეს ომი ბაიდენს რუსეთმა დააწყებინა. აი, ამ ზომამდე მიიყვანა ამერიკა. ტრამპი რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, ამ ომს არ დაუშვებდა. ბაიდენი, როგორც პოლიტიკური მოაზროვნე, სუსტია. რუსეთ-უკრაინის ომი დროში გაიწელა. ამიტომ, ახლო აღმოსავლეთში — ისრაელში, საუდის არაბეთში რუსეთმა ისეთი ვითარება შექმნა, რათა ომი დაწყებულიყო. ამერიკა ორ ფრონტზე აღმოჩნდა. ეს რუსეთმა გააკეთა, რათა თავად ცოტა ამოესუნთქა. მან ამ მსოფლიო ომში წუთშესვენება აიღო. ამერიკის, ევროპის პოლიტიკოსებში ამან დაბნეულობა გამოიწვია. ისინი საბოლოოდ უკრაინის გაწირვას არ დაუშვებენ, მაგრამ არც გამარჯვებას შეეგუებიან. ჩვენი ოპოზიციური ტელევიზიებით მუდმივად უკრაინის ქება გვესმის. ასე არ შეიძლება. ამით უკრაინას ღუპავენ. რუსი კიდევ რას მოიმოქმედებს, კაცმა არ იცის — შეიძლება უკრაინას სხვა ქვეყანა დაუპირისპიროს. თუნდაც, ბელარუსი. ვფიქრობ, 2024 წელს ომი უნდა დამთავრდეს და მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. მაგრამ ვინ იქნება ამ მაგიდასთან? შესაძლოა, იქ უკრაინის ხელმძღვანელობა — ზელენსკი ვერ დაჯდეს. დიახ, გამორიცხული არ არის, ყველაფერი ზელენსკის დააბრალონ. რუსეთი რომ დამარცხებულიყო, ყველაფერი პუტინს დაბრალდებოდა. ახლა უკრაინა მარცხდება და ყველაფერს ზელენსკის დააბრალებენ. ვიღაც უნდა გაიწიროს და განტევების ეს ვაცი თავის დროზე ზელენსკი იქნება.

— ბოლოს გვითხარით, რა ვითარებაა, ამჟამად, ახლო აღმოსავლეთში ფრონტის ხაზზე?

— როგორც აღვნიშნე, ახლო აღმოსავლეთში რაც ხდება, ეს რუსეთიდან მომდინარეობს. ებრაელები იმისთვის გამოიყენეს, რომ რუსეთს წუთშესვენება მისცემოდა. ებრაელებს არაბულ სამყაროს არ გაანადგურებინებენ და არც ებრაელების განადგურებას დაუშვებს ვინმე. დიახ, ანგლოსაქსური სამყარო ებრაელების განადგურებას არ დაუშვებს. ახლა დიპლომატიამ უნდა იმუშაოს და არა იარაღმა. ებრაელები უნდა მიხვდნენ: თუ იარაღით „მუშაობას“ დაიწყებენ, დაიღუპებიან. პალესტინა ახლა ავტონომიაა და მან სახელმწიფოებრიობა უნდა მიიღოს. შეიძლება ებრაელებს უკან დახევა მოუხდეთ, სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეული ქვეყნები ისრაელის წინააღმდეგ, მის გასანადგურებლად ერთიანდებიან. ხომ ხედავთ, დაიწყო შიდა გამოსვლები არამარტო რუსეთში, არამედ კავკასიაში, ევროპაშიც, აზიაშიც. არაბული სამყარო უზარმაზარია. ის, რაც ახლა ხდება, ებრაელების მხრიდან არაბული სამყაროსთვის ომის გამოცხადებას ნიშნავს. არაბული სამყარო არაფერს დათმობს. პალესტინის ტერიტორია მცირეა, მაგრამ იქ რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რომლის საშუალო ასაკი 25 წელია. სიკვდილი მათთვის გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთის საკითხი უმნიშვნელოვანესია, რაც რუსეთ-უკრაინის ომთან არის მიბმული. ეს მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილია. რეგიონული ომის კერა ჯერ სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა, მერე უკრაინაში, ახლა კი ახლო აღმოსავლეთში.

თამარ შველიძე

ისრაელი მზად არის, მსოფლიოს დაუპირისპირდეს!

მსოფლიოში მშვიდობის დამყარება, სამწუხაროდ, შორეულ პერსპექტივად გადაიქცა. სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდება როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინაში, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთშიც. ომების შეჩერებაზე პოლიტიკოსთაგან ცოტა ვინმე თუ საუბრობს. პირიქით, ახალი ცხელი წერტილების გაჩენას აანონსებენ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა, ლოიდ ოსტინმა კონგრესში გამოსვლისას განაცხადა: „...მივუახლოვდით იმ ზღვარს, როდესაც, შესაძლოა, რუსეთთან ჩვენი შეიარაღებული დაპირისპირება მოხდეს“. რას მოუტანს ბირთვული იარაღის მქონე ორ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფლიქტი მსოფლიოს, ამის წარმოდგენაც კი შემზარავია.

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ანკლავში აღარსად დარჩა უსაფრთხო ადგილი, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები და ქალები შეძლებდნენ თავშესაფრის პოვნას. ღაზას სექტორში 20-ზე მეტი საავადმყოფო, სადაც, ძირითადად, სამოქალაქო პოირები მკურნალობდნენ, სრულიად განადგურებულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერიეშმა კვლავ მოუწოდა კონფლიქტში მონაწილეებს, დაიცვან ომის წესები. „კონფლიქტში მონაწილე არცერთი მხარე საერთაშორისო კანონებზე, ნორმებზე მაღლა არ უნდა იდგეს“, — განაცხადა გენმდივანმა.

ისრაელის ხელისუფლებას ცეცხლის შეწყვეტაზე ლაპარაკიც არ უნდა. მათი განცხადებით, „...კვლავაც დაბომბავენ და გაანადგურებენ ნებისმიერ სამოქალაქო ობიექტს, სადაც „ჰამასის“ მებრძოლები იმალებიან“. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ტელეფონით ესაუბრა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს. როგორც ვარაუდობენ, ბაიდენმა სთხოვა ჰუმანიტარული თვალსაზრისით დროებით ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ ამაზე თანხმობა ვერ მიიღო. ისრაელის მხარე „ჰამასის“ მიერ მძევლების უპირობო გათავისუფლებას ითხოვს, ნეთანიაჰუ კი ევროპელებს აშინებს. „...თუ ისრაელი ახლა დამარცხდება ტერორიზმთან ბრძოლაში, მათი შემდეგი სამიზნე ევროპა იქნება“, — განაცხადა მან. თუმცა, გაეროს მოწოდებაზე ისრაელისა და პალესტინაში დამკვირვებლები მიეღოთ, ისრაელმა კატეგორიული უარი განაცხადა.

შაბათს შიფაში დაიბომბა ანკლავში ყველაზე დიდი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია. სამკურნალო დაწესებულებაში კატასტროფული ვითარებაა — არ მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი... უშუქობის მიზეზით უკვე ორი ახალშობილი დაიღუპა, რომლებიც სამედიცინო აპარატებზე იყვნენ მიერთებულები. სასოწარკვეთილი ექიმები მსოფლიო საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ. ეხვეწებიან ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, ექიმებსა და პაციენტებს ჰუმანიტარული კორიდორი გაუხსნან ევაკუაციისთვის.

სიცრუეს უწოდებენ შიფას საავადმყოფოს ბლოკირებას მაღალჩინოსანი ისრაელელი სამხედროები. მათი მტკიცებით, მხოლოდ საავადმყოფოს ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ მიწისქვეშა ბუნკერებსა და გვირაბებს ანადგურებენ, რომლებსაც „ჰამასის“ წევრები აფარებენ თავს. სამკურნალო დაწესებულებაში ათასზე მეტი დაჭრილი და ავადმყოფია, რომლებსაც ექიმები სათანადო სამედიცინო დახმარებას ვერ უწევენ. სამედიცინო პერსონალთან უკვე გაწყდა კავშირი. რა ხდება საავადმყოფოში, უცნობია.

ანკლავის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებლებს სამხრეთით, ეგვიპტის საზღვრისკენ მიერეკებიან. მოსახლეობა ფეხით მიდის, მარშრუტს „სიკვდილის გზას“ უწოდებენ. ვინც ახერხებს ეგვიპტის საზღვრამდე მისვლას, მათ არაადამიანურ პირობებში უხედბათ ყოფნა. დევნილებს არ ჰყოფნით საკვები, წყალი... ბევრი მათგანი პირდაპირ ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს. დევნილმა ღაზას მოსახლეობამ, რომლებიც ერთ-ერთ საავადმყოფოს აფარებდნენ თავს, თეთრი დროშებით სცადეს ტერიტორიის დატოვება, რათა სამხრეთისკენ წასულიყვნენ. თუმცა, ისრაელელმა სამხედროებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს, უკან დაბრუნებულიყვნენ.

სახმელეთო ოპერაციას ისრაელის არმია ავიაციის დახმარებით აწარმოებს. ბრძოლები უკვე ქალაქ ღაზაში მიმდინარეობს. დანაკარგებს ორივე მხარე განიცდის. ისრაელელები ყოველდღე აცხადებენ ათეულობით ლიკვიდირებული „ჰამასის“ მებრძოლებისა და მათი მეთაურების შესახებ. თავის მხრივ, „ჰამასიც“ აქვეყნებს კადრებს ისრაელელების განადგურებულ მძიმე ტექნიკასა და ცოცხალ ძალაზე. ისრაელში სამხედრო მაღალჩინოსნებმა აკრძალეს მათ არმიაში დანაკარგებზე ლაპარაკიც კი.

ნეიტრალური სამხედრო ექსპერტების განცხადებით, ისრაელის არმია რეკორდულ დანაკარგებს განიცდის. გამოცემა „ნიუიორკ თაიმსი“ წერს: „...ისრაელმა რეალურად ვერ შეაფასა „ჰამასის“ შესაძლებლობები“. ეკონომიკის ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ ისრაელის არმიას მიმდინარე ომი დღე-ღამეში 260 მლნ დოლარი უჯდება.

საგულისხმო განცხადება გააკეთა ამერიკელმა პოლიტოლოგმა პიტერ კუზნიკმა: „...ბევრმა გამოცემამ წინასწარ იცოდა „ჰამასის“ მოსალოდნელი შეტევის შესახებ. იმიტომაც დაითხოვეს სამსახურებიდან მთელი რიგი ჟურნალისტები, რომ გაასაჯაროვეს აღნიშნული ინფორმაცია“. ნეთანიაჰუს „ჰამასთან“ ბრძოლაზე მეტად საკუთარი პოლიტიკური კარიერის გადარჩენა აღელვებს. გაიხსენეს 2019 წელი, როდესაც იგი „ჰამასის“ დაფინანსებისკენ მოუწოდებდა სხვადასხვა ქვეყნებს.

პოლიტოლოგების შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში ბრძოლები დროში გაიწელება.

დაძაბული ვითარებაა ლიბანის საზღვარზეც. ნეთანიაჰუ პირდაპირ დაემუქრა მეზობელ ქვეყანას: „...თუ ჰეზბოლა“ ისრაელზე შეტევებს გააგრძელებს, ბეირუთი ღაზას ბედს გაიზიარებს“. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ისრაელი მზად არის, მსოფლიოს დაუპირისპირდეს, რაც ქვეყნისთვის და მისი მეზობლებისთვის საგანგაშოა.

ისრაელში ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება იზრდება. თელ-ავივში ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით აქცია გაიმართა. დემონსტრანციებია ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ნეთანიაჰუს გადადგომაა. ომის შეჩერების მოთხოვნით აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც იმართება. სამწუხარო ფაქტია, რომ ცალკეულ ქვეყნებში ეთნიკური ნიშნით დაპირისპირება ხდება. აშშ-ში, გერმანიში, საფრანგეთში გახშირდა ანტისემიტიზმის გამოვლინების ფაქტები, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებების შეშფოთებას იწვევს.

გასულ კვირას საუდის არაბეთში „არაბთა ლიგის“ ქვეყნების შეკრება გაიმართა. ცალკე ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი „ისლამური ქვეყნების თანამშრომლობის“ ორგანიზაციას, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ ორივე ორგანიზაციის სამიტი ერთობლივად გამართულიყო, რასაც ექსპერტებმა უპრეცედენტო უწოდეს. შეკრების მთავარი მიზეზი ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება იყო. მასპინძელი ქვეყნის ლიდერმა აბდულ ბენ სალმანმა გაერო უმოქმედობაში დაადანაშაულა, რადგან ორგანიზაციამ ვერ შეძლო ომის შეჩერება. პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ვაშინგტონი ისრაელის წახალისებაში დაადანაშაულა. ირანის პრეზიდენტის, იბრაჰიმ რაისის განცხადებით, აშშ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებს ბლოკავს. სირიის პრეზიდენტმა, ბაშარ ასადმა არაბულ სამყაროს მოუწოდა, ისრაელთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ. ღონისძიების დასრულების შემდეგ ისრაელის პრესა იუწყებოდა, რომ ერთობლივი სამიტი უშედეგოდ დასრულდა და საერთო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ექსპერტების შეფასებით, არაბულმა სამყარომ ისრაელი გააფრთხილა და დრო მისცა ომის შესაწყვეტად.

მოკავშირე ქვეყნებიც მოუწოდებენ ისრაელს ჰუმანიზმისკენ. საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადებით, „ისრაელის შეტევებს ეწირებიან უდანაშაულო ბავშვები და ქალები, რაც არალეგიტიმურია. ამიტომ ისრაელმა უნდა შეწყვიტოს ცეცხლი“. ნეთანიაჰუმ მკვახედ უპასუხა მაკრონს: „ჩვენ გვაკისრია მოვალეობა, დავიცვათ თავი, რასაც ვაკეთებთ კიდეც“. მაკრონის აზრს იზიარებს აშშ-ის 44-ე პრეზიდენტი ბარაკ ობამა. „რაც „ჰამასმა“ ჩაიდინა, უდავოდ, დანაშაულია, მაგრამ ახლა ტერორისტებთან ბრძოლაში ისინი იღუპებიან, ვისაც „ჰამასის“ ქმედებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. რაც დაუშვებელია“. ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენის შეფასებით, „ისრაელის ჰამასთან“ ბრძოლა დემოკრატიის გამოვლინებაა“.

არანაკლებ რთული ვითარებაა უკრაინაში. რუსეთთან ომის გარდა, ხელისუფლების შტოებიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ვითარება ქვეყნის გენშტაბის ხელმძღვანელის, ვალერი ზალუჟნის თანაშემწის, გენადი ჩისტიაკოვის მკვლელობის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ტერაქტით უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ მოწინააღმდეგეები გააფრთხილა მოსალოდნელ შედეგებზე. ზალუჟნი ჯერ დუმილის რეჟიმშია. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ უახლოეს მომავალში ხელისუფლების შტოებში შეიარაღებულ დაპირისპირებას. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, ზაფხულში დაწყებული კონტრშეტევა წარუმატებელი აღმოჩნდა. გერმანიის გენშტაბის ყოფილ ხელმძღვანელს კუიატს მიაჩნია, რომ დასავლეთის ქვეყნები უკრაინის არმიის მეორედ შეიარაღებას ვეღარ შეძლებენ. ნატო-ს ჯარების ყოფილ სარდალს, ჯეიმს სტავრიდისს მიაჩნია, რომ „უკრაინა უნდა შეეგუოს ყირიმის დაკარგვას, მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტას და ქვეყნის აღდგენაზე იზრუნოს“.

ზელენსკი ცდილობს, თანამდებობა შეუნარჩუნოს, ამიტომაც ამბობს უარს 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე. ურსულა ფონ დერ ლაიენის შეფასებით, უკრაინამ 90%-ით შეასრულა ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. თუმცა, არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ზელენსკის ცოლმა გაეროს გენასამბლეის მსვლელობისას ნიუ-იორკის ერთ-ერთ მაღაზიაში მილიონი დოლარის ღირებულების საიუველირო ნივთები შეიძინა. არავინ კითხულობს, საიდან აქვს პრეზიდენტს ამდენი თანხა. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში ყველაფერი მოსულა...

გია ბურდული

„ნაცმოძრაობა“ ფართხალებს და სასუნთქ აპარატზე მიერთებას ცდილობს



გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, საქართველოსთვის სტატუსის მონიჭების რეკომენდაცია ნაცების თავმჯდომარემ ასე ახსნა: ხელისუფლებას საბოტაჟი არ გამოუვიდა, რუსულ მთავრობას მოვუგეთო...

— პირველ რიგში, თავად ევროკომისიის გადაწყვეტილებაზე მოგახსენებთ: ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა აქ გარკვეული ნაღმებიც არის ჩადებული და სიფრთხილე გვმართებს. კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე გაცემულმა რეკომენდაციამ ქართული საზოგადოება მეტად უნდა გამოაფხიზლოს. ზოგჯერ ზედმეტი მაძღრობა სხვადასხვა დაავადებების წარმომშობია. ამიტომ, თავი მაძღრებად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ევროპულ ინსტიტუციებზე ბევრი კარგი რამ გვსმენია, თუნდაც სასამართლო სისტემაზე, მაგრამ კორუფცია იქაც არის, ბევრი მაღალჩინოსანი ამის გამო დაიჭირეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ იქ სახელმწიფო მოხელე ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს — დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ასე შემდეგ. საქართველოში ევროკავშირის წესების გადმოღება ასეთი დადებითი კუთხით თუ მოხდება, ეს კარგია. მაგრამ არსებობს მეორე, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის საშიში მხარეებიც. კერძოდ, საქართველოში სხვადასხვა იდეოლოგიების დამკვიდრება, რისი კონტურებიც გამოკვეთილია. მაგალითად, ლგბტქ+ პრაიდების ჩატარებისა და დაკანონების მცდელობები. კაცმა რომ კაცი ცოლად შეირთოს, ასეთი კატასტროფა ევროკავშირის წევრობად არ გვიღირს. ქართველ ერს ჩვენი ტრადიციები, კულტურა, ფასეულობები გვაქვს, მართლმადიდებლობასთან გაზიარებული სულიერება, მეობა გაგვაჩნია, რასაც გაფრთხილება სჭირდება. ევროპულ ქვეყნებში თავიანთ კულტურას, ტრადიციებს საკანონმდებლო დონეზე პატივს სცემენ. ჩვენთანაც ანალოგიურად უნდა იყოს. მაგალითად, ჩვენი განათლების სისტემა შავ დღეშია და არსებობს საშიშროება, რომ შემოტანილ გამრუდებულ იდეოლოგიებს ვერ გაუმკლავდეს. ჩვენთან სწავლება პატრიოტული მიმართულებით არ ხდება. ეს სერიოზული პრობლემაა. ასე რომ, კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე დადებით რეკომენდაციას მივესალმები, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი მყობადობის, კულტურის საწინააღმდეგო იდეოლოგიების შემოპარებას ვერ დავუშვებთ.

ავიღოთ თურქეთი, რომელსაც ოცდაათი წელია, კანდიდატის სტატუსი აქვს, მაგრამ ევროკავშირის წევრი ჯერ ვერ გახდა. ვფიქრობ, ჩვენთან მიმართებით პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამიტომ ხიბლში არ უნდა ჩავვარდეთ. ევროკავშირისთვის ამჟამად სასწორზე დგას საკითხი: მიენიჭოს თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი. ჩვენ გარშემო ძლიერი ქვეყნებია, როგორებიცაა აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და ასე შემდეგ. ცხადია, ევროკავშირი დილემის წინაშე დგას: თუ საქართველოს სტატუსს არ მიანიჭებენ, ჩვენზე მეზობელი ქვეყნების გავლენები გაძლიერდება. თურქეთისა და რუსეთის გავლენები რომ შეამცირონ, ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მიიღეს. თურქეთისთვის დღესდღეობით ევროკავშირის კარი დაკეტილია. ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა, რუსეთს გმობს და არც აზერბაიჯანს წყალობს. რადგან ჩვენთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია დადებითია, ეს არ ნიშნავს, რომ ცხვირი უნდა ავიპრიხოთ და მეზობელ ქვეყნებს ისე ველაპარაკოთ, როგორც ევროკავშირის წევრებმა და მათ ანგარიში არ გავუწიოთ. ეს კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება.

პირველ რიგში, ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებას უნდა ვეცადოთ. ევროკავშირის წევრობის კანდიდატია უკრაინაც, მაგრამ ვხედავთ, იქ რა უბედურებაც დუღს. ასევე, კანდიდატობა აქვს მოლდოვასაც და იქაც დაძაბულობაა. ასე რომ, ეს რეკომენდაცია არ ნიშნავს, რომ ჩვენ გეოპოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე დამკაში გავედით. პირიქით, მეტი სიფრთხილე, დაკვირვება გვმართებს — ის არ უნდა გაგვაკეთებინონ, რაც თავად აწყობთ და მათი გლობალური პოლიტიკის შემცველი ამოცანაა.

— სტატუსის მონიჭების საკითხი თხუთმეტ დეკემბერს გადაწყდება. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ისევ გააგრძელებს მოთხოვნას, რომ სანქციები დაგვიწესონ და სტატუსიც ხელისუფლებაში მათ მოსვლამდე არ მოგვცენ?

— ოპოზიციას და ევროდეპუტატების იმ ფლანგს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ესკალაციაში ჩვენ ჩართვას ცდილობდნენ, ცივი წყალი გადაესხათ. ჩვენ პატარა ერი ვართ და ამიტომ ძლიერი ქვეყნების გავლენების ქვეშ ვექცევით. სამწუხაროდ, ჯერ არ ვართ ფეხზე დამდგარი ქვეყანა, ამიტომ ეს გავლენები ჩვენზე აისახება. ბრალდება, რაც ოპოზიციამ ხელისუფლებას წაუყენა, ქვეყანა რუსეთისკენ მიგყავთო, შესუსტდა, წელში გაწყდა. იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც რუსეთთან რაიმე ტიპის გარიგებაშია მხილებული, ევროკომისია სტატუსის მინიჭებაზე დადებით რეკომენდაციას არ მისცემდა. ეს მითი დაიმსხვრა. რუსეთის თემას რომ ველარ ეჭიდებიან, ახლა გაიძახიან, რომ დადებითი რეკომენდაციის გაცემა ხელისუფლების კი არა, ქართველი ერის დამსახურებაა. კი ბატონო, მაგრამ ვისი არჩეულია ეს ხელისუფლება?! ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციებს, არეულობის გამოწვევის მცდელობებს, ადგილი კვლავ ექნება. თუმცა, ნაცებს მთავარი კოზირი — ბრალდება, თითქოს „ქართულ ოცნებას“ ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავს, ხელიდან გამოეცალათ — ფუჭი აღმოჩნდა მცდელობა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსი არ მიგვეღო.

„ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური გაყოფისთვის ემზადება, რისი კონტურებიც გამოკვეთილია. მელიას ფლანგი ჯერჯერობით პარტიაში რჩება, მაგრამ რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრისას ის წარმოადგენს არა ნაცების, არამედ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ლიდერს. მელია ღიად საუბრობს: კეზერაშვილმა და მერაბიშვილმა პარტია შპს-დ გადააქციეს და ეს მოცემულობა უნდა შეიცვალოსო. ცხადია, ამ ორი ფიგურის გარეშე „ნაცმოძრაობა“ სუნთქვას შეწყვეტს. ვფიქრობ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მელია მონაწილეობას თავისი დამოუკიდებელი ძალით მიიღებს. კულისებიდან, ალბათ, მელიას ფინანსური მხარდაჭერაც ექნება, რისთვისაც იგი ხარკს არ გადაიხდის.

— ხაბეიშვილი-ვაშაძის ტანდემი აცხადებს, სტატუსს მნიშვნელობა არ აქვს, თუ ხელისუფლება არ შეიცვლებაო. მათი ახალი გეგმა არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება ხომ არ არის?

— არჩევნებს არჩევნების დღეს არ იგებენ. სპორტშიც ასეა — იმარჯვებს ის, ვინც თამაშის დაწყებამდე სათანადო მომზადებას გადის და მოწინააღმდეგეს სწორედ ამ პოტენციით უგებს. ნაცები თუ ორად გაიყვნენ, ამომრჩეველიც გაიყოფა. გარდა ამისა, მათ ყალბ ბრალდებებს ხალხი პასუხს გასცემს. ასე რომ, არჩევნებს ვერ ჩაშლიან.

— ოპოზიცია საუბრობდა, რომ სტატუსის მიღება სააკაშვილის გათავისუფლებაზე გადიოდა, რაც ევროპარლამენტარების შედგენილ რეზოლუციებში პირდაპირ ეწერა. ამ თემით სპეკულირება დღესაც აქტუალურია?

— ევროკომისიამ ეს რეკომენდაცია სააკაშვილის ფიგურაზე დაყრდნობით კი არა, გლობალური პოლიტიკის კონტექსტში გასცა. ევროპამ დაინახა, რომ ხელისუფლებაც და ქართველი ხალხიც ევროინტეგრაციისკენ სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ. ეს გლობალური პოლიტიკის ნაყოფია. ევროპამ დაინახა ჩვენი მონდომება. ამაში დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო ტრიბუნებზე პრემიერის საყვედურნარევმა გამოსვლებმაც: შარშან სტატუსი რომ არ მივიღეთ, ეს უსამართლო გადაწყვეტილება, შეცდომა იყოო. დიახ, ჩვენ არანაკლები მიღწევები გვქონდა, ვიდრე მოლდოვასა და უკრაინას, თუმცა მათ მისცეს სტატუსი, ჩვენ — არა. ასე რომ, სააკაშვილი ამ თემაში აქტუალური ველარ იქნება. ევროპამ დაინახა საშიშროება, რომ შესაძლოა, საქართველოზე გავლენები დაეკარგა. მათ არ აწყობთ საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება. კანდიდატის სტატუსი რომც არ მოგვანიჭონ, ეს არ ნიშნავს, რომ სხვის ნავში უნდა გადავხტეთ. ასე ვერ მოვიქცევით თუნდაც იმიტომ, რომ არავინ გვეუბნება, აქეთ გადმოხტიო. დიახ, სხვა არავინ გვიღებს კარს, არავინ გვთავაზობს: აფხაზეთს, სამაჩაბლოს დაგიბრუნებთო. არც არის იმის პერსპექტივა, რომ ევროპასთან ინტეგრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, რუსეთი ტერიტორიებს დაგვიბრუნებს. საზოგადოება ყოველთვის ევროპულ გზას ირჩევდა, თუმცა ოპოზიცია მაინც წავიდა პროვოკაციებზე, იგეგმებოდა მაიდნის გამეორებაც, მაგრამ ეს აღარ გამოუვათ.

— ბატონო მერაბ, სააკაშვილმა ერთობის მანიფესტი გამოსცა — ვინც ხელს არ მოაწერს, პარტიას დატოვებსო. ამას მელიამ ნდობის საბჭო დაუპირისპირა...

— პოლიტიკა სცენაა, სადაც კარგად ჩანს, ვინ როგორ ირგებს პოლიტიკურ როლს და ვინ შეიძლება ლიდერი გახდეს. ცხადია, მელიას ხაბეიშვილით ჩანაცვლება შეცდომა იყო. „ნაცმოძრაობაში“ მელიას წარმატებებმა შექმნა საშიშროება, რომ იგი სააკაშვილის საპირწონედ, ალტერნატივად ყალიბდებოდა. ამიტომ მელია პოლიტიკიდან უნდა ჩამოეშორებინათ. გათვლა იმაზე იყო, რომ მელიას პარტიის პოლიტიკური ნაწილი არ გაჰყვებოდა. აგერ, გახარია „ქართული ოცნებიდან“ ოპოზიციაში გადავიდა და ახლა

მისი პარტია სულს ღაფავს. მელია სააკაშვილს უტოლდებოდა. მისი ფიგურა ვითარებამ შექმნა. პოლიტიკურ ვითარებას ასეთი ინკუბაცია სჩვევია. მას თავის მომხრეები ჰყავს. ვიმეორებ, მელია პირდაპირ ამბობს: მერაბიშვილი და კეზერაშვილი „ნაცმოძრაობას“ უნდა ჩამოშორდნენო. ასე რომ მოხდეს, „ნაცმოძრაობა“ ფინანსების არქონის გამო ერთი ქალაქიდან მეორეში გადაადგილებასაც ველარ შეძლებს. კეზერაშვილი მათ რუპორ ტელევიზიასაც აფინანსებს. მელიას განცხადება ლიდერის სერიოზული განაცხადია. სააკაშვილის პარტიიდან, ვინც ხაბეიშვილს უსმენს, ვინ გაბედავს ასეთი განცხადების გაკეთებას?! — ვერავინ. მელია ბედავს, რადგან გადაწყვეტილი აქვს, დამოუკიდებელი პოლიტიკა ითამაშოს.

— როგორ ფიქრობთ, სად შედგება „ნაცმოძრაობის“ სია — „ვივამედში“, თუ კვიპროსზე?

— სიის შედგენაზე დაკა-დაკაა, რაც უკვე კომედიას ემსგავსება. „ნაცმოძრაობა“ ფართხალებს, სანამ საბოლოოდ არ გათიშულა, სასუნთქ აპარატზე მიერთებას ცდილობს. მათ ბელადს ვითომ აქაური ექიმები ხან კლავდნენ, ხან ციხეში წამლავდნენ, ახლა კი ის პოლიტიკურ არენაზე გამოსასვლელად ემზადება. სააკაშვილი აღარ არის ის ფიგურა, რომლის მიერ „ვივამედში“ დაწერილ სიას ტაშისკვრით შეეგებებიან.

თამარ შველიძე

ერვანდა ევროპის წინააღმდეგ

— ახპერჯან, ვონცეს! — შუა „დიასახლისობაში“ თავზე დამადგა ერვანდა.

— კამაც-კამაც, — ჩავუკარი თვალი.

— ჩაის აკეთამ? ჰო, ნუ, როცა რო კაცი ავათ არი, ეგრეც უნა ჰქნას, — დაბეჯითებით თქვა ერვანდამ და ჭკვიანური გამომეტყველებით სავარძელში ჩაეფლო, იქვე დადებული პლედი მიიფარა და გაიტრუნა.

— რა გჭირს?

— არც არაფელი. ვა, ეს რა თმილია, ირანულია? — მანიშნა თვალებით პლედზე.

— ისტამბულ! — ვუთხარი მისივე ინტონაციით.

— ეს ყიზილბაშები და თურქსელჯუკები ხო ყველგან დამსდევენ, პლედი ველარ დამიხურნია! — ვითომ აღშფოთდა ერვანდა და ფანჯარას გახედა.

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე მაინც ჯერ ჩაის დავლევ, — გამეღიმა, რადგან მივხვდი, მისი ინსტინქტურად ფანჯრისკენ გახედვა რასაც ნიშნავდა.

— ზურაჯან, უმნი კაცი ხარ. ნუ, არც მე ვარ შვიშტოკი, მარამ ერთი რაღაც ვერ გამიგია, — წამოიწყო ერვანდამ, მაგრამ ნანულიმ აღარ დააცადა, შემოვარდა და დოინჯშემოყრილი დადგა.

— ვა, ახჩიკჯან, ვონცეს? — გაუღიმა ერვანდამ.

— ვონცეს და დღრონცეს! რას მოვარდი ამ სისხამზე, სახლი არა გაქვს? მობრძანდა გველთამზე თავისი წილიანი „ახტამარით!“ რით ვერ გაიგე, რომ ამისთვის დალევა არ შეიძლება! — ლამის ხაოდა ნანული.

— წილი რა არის, ტილის ბიძაშვილია? მეჟდუ პროჩემ, ვინაითგან ივროპისკენ მივდივართ, 3-4 სვეჟი ბაღლინჯო ყველას უნდა გვედოს სახლში, დაკუმენტია, რო პრირაჟდიონი ივროპელი ხარ, — გაიღმიჭა ერვანდა.

— ზურა, თქვი რამე, თორემ მოვკლავ ამას! — ნანული ახლა მე მომიბრუნდა.

— რა გაჩხუბებთ, ორივეს სატირლად გაქვთ საქმე. ის დროა, ერთმანეთს პატიებას სთხოვდეთ და ეხუტებოდეთ, — ვთქვი წყნარად და რეაქციას დაველოდე. „რათა“ და „რატომ“ ისე ერთდროულად გაისმა, ორხმიან სიმღერასავით ჩამესმა.

— შენ იმიტომ, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოცემის სერიოზული იმედი გაჩნდა და შენი სექტა გიჟს ჰგავს; შენ კიდევ იმიტომ, რომ ევროკავშირის ხსენება არ გინდა. მიზეზებს რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტობრივად, ორივეს არ გინდათ სტატუსის მიღება.

— ზურაჯან, აი, რათ უნა მინდოდეს? ეგ თქვენი ევროკავშირი თუ რომ კარქი იქნებოდა, ანგლისკი დვარეცი არ გაიქცეოდა. მე ის ქალი მიყვარს, მარინ ლე პენი — ის რაღათ ამბობს, როცა რომ პრეზიდენტი გავხთები, საფრანგეთსაც გამოვაქცევ? ის იტალიელიცა, პოლონელიცა... სლუში, ეგენები შიგ არიან და გამოქცევა უნდათ და მე რო შიგ არა ვარ, შიგ რატომ უნდა მინდოდეს? ერთი პადრუგა მყამდა, ნინო ერქვა, ორთაჭლელი იყო, „შაო ნინოს“ უძახდით, ის თქვა, ხაში მიყვარსო. ვა, მეთქვი, ფაშვი გირჩევნიან თუ ჩლიქები? ცხოვრებაში არ მიჭამნიაო. მეთქვი, მა რა გიყვარს? სახელი მომწონსო. ეგრეა ჩვენი ანბავიც, სახელი მოგვწონს, რააა... ამ სექტანტებს კიდევა, არაფერიც არ მოწონთ, სუ ნედავოლნები არიან, მარტო ის მოწონთ, თუ ვლასტში არიან. ჰა, ნანულაჯან, სექტამ ქელეხის პურ-მარილი სად გაშალეთ, დიღმის ტრასაზედა?

— რა დიღმის ტრასაზე, ვერა ხარ შენ!

— იქიდამ შემოდის ივროპა! — გამხიარულდა ერვანდა.

— ამ ხალხის მართლა ვერაფერი გავიგე. თავს იკლავდნენ, სტატუსისტატუსიო და თვითონ დარბოდნენ, არ მოგვცეთ სტატუსიო. სარეკომენდაციო დასკვნა დადეს, ცალი ფეხი ევროპაში გვაქვს და ახლა გული უღონდებათ, ვაიმე, რატომ მოგვცესო, — ხელებიღა გაშალა ნანულიმ.

— ვააა, რა მაგარი დასანახები იქნებით ხაშურიდამ, — გადაბჟირდა ერვანდა.

მე და ნანულიმ ერთმანეთს გადავხედეთ, ვერ მივხვდით, რა თქვა სასაცილო, ან ხაშური სულაც რა შუაში იყო.

— ტო, ცალი ფეხი თუ ევროპაში გაყავით და მეორე თბილისში დატოვეთ, ხაშური ხო შუაში მოხვდება. ვააა, ამოიხედავს ერთი კარგი მეჰამაკე რაჟდენა და რას დაინახამს? — ჩაგვეძია ერვანდა.

— ვაიმეეე, ეს რა იდიოტია, — ერვანდას ნათქვამს ჩემზე ადრე მიხვდა ნანული.

— ტო, ეს ბაზადოვი და მეხრიბეკიანი სულ თავზე დაჯდნენ, აი! კოგაბიტაცია როდის მთავრება, რა ნეაკონჩენი პონტია... — განავრცო ნაცთემა ერვანდამ.

— ეგენი ვინ არიან, — თავი არ აუწევია, ისე იკითხა ნანულიმ.

— აბა, შენა ხარ, აი! კაცმა რო გკითხოს, მაგარი სექტანტი ხარ — ტო, ეგენები არ იცი? ვაშაძე მლადში და ბურატინო... ზნაჩიტ, დეკემბერში პოლნი ივროპელები გავხთებით, არა? — ისევ რობაიებს ფურცლავდა ერვანდა, მაგრამ არც ენას აჩერებდა.

— ზურა, რაღაც სასუნავები მაქვს სახლში და გამომატანინე. ამას არ ვეუბნები, უნდა ავაყაყანო, მე რატომ არ მითხარი, ზურა რატომ წაიყვანეო, — საუბრის სხვა ტალღაზე გადასვლა მოინდომა, ამიტომ ჩურჩულით მითხრა ნანულიმ და თვალი ჩამიკრა (ნანული ხომ გვარის გადაკეთების თემას ვერ იტანს).

ავდექით ორივე და კარისკენ გავემართეთ. ერვანდას არ შემოუხედავს, ისევ ომარ ხაიამის რობაიებს ჩასცქეროდა, შემოსვლის დროსღა შემოგვხედა:

— რა დვიჟენიობა გაქთ აქა?

— ნახიჭევანიდან გამოსული გემი ვერ გატეულა მუხრანის ხიდის ქვეშ, იქვე ტივტივებს და მაგას ვარკვევთ, — დავალაგეთ სახეები მე და ნანულიმ და ისე შევედით.

— ზურაჯან, რა ბრძანეთ? სად რა არ გატეულა? — ამრეზით გადმომხედა ერვანდამ.

— სომხებს გემი ფოთში მიჰქონდათ, შავ ზღვაში უნდა ჩაეშვათ. იცი, როგორი, ძველებური, ხოფებიანი და ხაშურში, ხიდის ქვეშ ვერ გაეტია. იქვე ქართველებიც იდგნენ, ადგილობრივი სომხებიც, ებრაელებიც, რუსებიც და დასცინოდნენ, სომხებს გემი რათ გინდათო? ერვანდ, სომხები ხმელთაშუა ზღვისპირეთში სულ რაღაც 180 წლით იყვნენ გაჭრილები და ერთ-ერთი უძლიერესი სავაჭრო ფლოტი შექმნეს, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ აჯობა ვენეციის ფლოტმა და ისიც წყალწყვით...

— ეგ ვინ გითხრა, ტო? — აღარ დამამთავრებინა, დასაბმელი გახდა ერვანდა.

— აკაკი ბაქრაძემ დაწერა თავის ერთ-ერთ წიგნში...

— სადა ცხოვრომს, ადრესი მაიტა! — ჭკუაზე აღარ იყო ერვანდა.

— საიქიო!

— მამანჯააააან, ეგეთი ჯიგარი ქართველები უნა კვდებოდნენ და ეს სომეხი სიმულიანტი ორი წელი აქ ტვინს გვიხნავდეს იმ „ვავამედიდამ“? ვამბობ, რა, სამართალი ჩკა! — დრტვინავდა ერვანდა.

— ბიჯო, რას გადაეკიდე მაგ ავადმყოფ კაცს?

— ვინა, ეგა?

— ეგ იგეთი გოთვერანი კაცია, ოჯახში არ შეიშვება! ტო, აზრზე მოდი, დაჟე რომ სომეხი აზერს მიცემს ატმასკას, რა გოთვერანი უნა იყოს სომეხი! ტო, სტუმრის ცოლს დუმაზე ხელი რათ უნა მიადო, თუ გოთვერანი არა ხარ? ჰოდა, არის! ეს დაქნეული ქალები კიდე ბღავიან „მიჰააა!“ აგე, ამათი მიჰა, უკრაინელი სომეხი მიხაილო ხურუშიან!

— მიხაილო ხურუშიან! როგორ უხდება, — აკისკისდა ნანული.

— აგე, ეგეცა მე ვარ? ამ ხურუშიანის სექტაში სულ ეგეთი დარეხვილი ქალები არიან! ქალო, ნანულ, ახვეტე ეხლა ეგ შენი პურ-მარილი და გასრიალდი აშიკას მძლოკვივით, მინამ რო გამიფრენია. შენი ნერვი მაქ?

— ნუ დუდღუნებ, ისე ვთქვი! — უკან დაიხია ნანულიმ.

— მე ვიცი თქვენი „ისე ვთქვი“ რაც არი... ისე თქვა...

— ზურა, უთხარი რამე ამ ფაშისტს! — ლამის შემევედრა ნანული. მიხვდა, რომ ამჯერად ერვანდა არ ხუმრობდა.

— ერვანდ, მოიცა, რა, დავსხდეთ, ვიჭუკჭუკოთ, რა დროს მიხაილო ხურუშიანია, — ხელის აქნევით ვანიშნე, არ გინდა გამწვავება-მეთქი.

— ტო, ხო იცის, რო ვბრაზდები, რატომ უნა მითხრას სახეში, რო ის ავანტყოფი უყვარს? აბიდნა, ვა!

— ნანული, ოცდასამ ნოემბერს რა მემორანდუმს აკეთებთ სექტაში, რაო, მიხაილომ?

— რა უნდა გააკეთონ, ბავშვები, მეტი იმან რა იცის და ამათ კიდე სხვა რა უნდათ — მიდი-შვიდი! მემორანდუმს არქმევს ეხლა მაგ საქმესა ის ჩმორი-კაცი! ეხლა ახალგაზრდები მოუნდა, რაღა! ძველი სახეები მოსწყინდა. კანეჩნა, ან აქამდე როგო უძლებდა ამ მახინჯი ქალების ყურებასა, მიტომაც დახურუშიანობდა! აბა, უყურე სუტრა დო ვეჩერა გაჭყლეტილ ბაყაყსა, მაიმუნის ჩუტყვავილასა, ბურატინოსა და ნანულას! — ძლივს გამოიდარა ერვანდამ.

ნანულის ხმა არ ამოუღია, აისხლიტა ერვანდას ნათქვამი. მისი ერთი დატატანების მერე ხავერდივით გახდა.

— ჰა, რა ხმა გაწყვიტე, სამხედრო საიდუმლოა და მალამ? — ჩაეკითხა ერვანდა.

— რა გინდა, კაცო! — ლამის ტირილი დაიწყო ნანულიმ.

— კიდე მე მინდა? უთხარი, რათ არ აჩერებთ დუმებსა! რათა ხართ საკუთარი სამშობლოს ვრედნები! ვაბშემაც, რათა ხართ ყველანი ვრაგ ნაროდა! აბიჩნი პიავკები ხართ, რა! ივრაპეისკი კანდიდატის სტატუსი გინდოდათ? — აგე, გაძლემენ შიგ კოკორში! ეხლა ამბობთ, ეგეთი სტატუსი რათ გვინდა, უკრაინასა და მოლდოვას უფრო ადრე მისცესო! ვაა, კიტაროს! თურქეთს ვაბშემც წინა საუკუნეში მისცეს და დღემდე მიკრული აქვს ცარელა კანდიდატობა, მარამ თქვენ ბუნტი გინდოდათ პად ნოვი გოდ და რო ჩაგეშალათ, იმიტომაც დაგემართათ პანოსი!

— ზურა, გამანებოს თავი, ჩემგან რა უნდა? — ხმა აუკანკალდა ნანულის.

კი შემეცოდა, მაგრამ მეც კარგი გულღრძო ვარ, ვიფიქრე, ცოტაც შეარყიოს ერვანდამ-მეთქი და მაინც არ ჩავერიე. რაც ნანული ჩვენ ნერვებს გვიშლიდა ნაცსექტის გამო, ცოტათი რომ გამოესყიდა.

— თქვენი საქმე თქვენ გაარკვიეთ! რა მოხდა, საუბრობთ, არც გკლავს, არც გაუპატიურებს, — სრული „მწვანე ავუნთე“ ერვანდას.

— ხომ მაწამებს? — აღმოხდა ნანულის. ჩვენთან ჭუკჭუკი უნდოდა და ითმენდა, თორემ ამდენს ვინ მოუსმენდა ედრვანდას, თბილისზე სამი წრე ექნებოდა უკვე შემოვლილი.

— წამება, იცი, რა იქნებოდა? ახლა მე რო აი, ამ ზურას ყიზილბაშსკი პლედით ყელში წაგიჭირო და სუ სათითაოდ გაყლაპინო პერსიისკი ლექსების ფურცლები... ზურაჯან, ისე, მართლა ხო არ ვაყლაპინო? ვა, არა სწავლობს იგრე და ეგრე მაინც შეითვისოს. კაცმა თუ რომ ლექსები არ იცის, ის კაცია საეჭვო და ქალმა რო არ იცის, ვაბშემაც დასახრჩობია, — აუტყდა სიცილი ერვანდას.

— გველო, ვითომ არ იცი, რომ ზუბრიაჩკობა არ შემიძლია, — გაეღიმა ნანულისაც.

— მიტომაც გთხლიშამდა ხოლმე ორიანსა ქეთო მასწი. ტო, „მუშა ბოქულაძის“ სწავლას რა ზუბრიაჩკობა უნდოდა, ვკითხულობდი და ვტიროდი: „რად მიყურებ ეგრე გაკვირვებითა, ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა...“

— ზურა, ეს დეგენერატი არ არის? რატომ ახსოვს სკოლის ლექსი, თან რა საძაგელი ლექსი იყო, — მე შემომხედა ნანულიმ და სახეზე მართლა გაოცება ეწერა.

— მა რომელია კარქი ლექსი „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი?“

— ბიჭო, ქართულად ვერ ლაპარაკობ და ლექსებს რანაირად ამბობ სწორად?

— ლექსი ჯერ უნა შევიდეს შენშ,ი რო გამოუშვა... ლექსს ვერ დაიზეპირებ, ლექსი უნდა დასახლდეს შენში და თითონ გეთქმეინოს... მე რა, კი არ ვიჯექი და ვიზეპირებდი, შემოდიოდნენ და ჩემში ზაპისკას აკეთებდენ... — ერვანდამ სივრცეს გახედა ფანჯრიდან და რაღაც ჩაიბურტყუნა.

— შემაგინე? — ეცა ნანული.

— შეგაგინე არა, ორი შაური დაგაყარე წინაპრების საფლავზე, ორი სიტყვა ჩემთვინა ვთქვი, — შეუღრინა ერვანდამ.

— მითხარი! — უბრძანა ნანულიმ.

— ამას უყურე, ეე! გოგოჯან, ეხლა ნუ გაბლატავდი... იტოგში, შეველით შიგ ევროპაში, თუ კიდე გრანიცაზე ვდგევართ და რიკის ძვალს ვიფხანთ?

— ვიფხანთ, — მკვირცხლად მიუგო ნანულიმ.

— იფხანეთ, ცავატანემ, იფხანეთ! პადარკათ ერთ სურათს გაჩუქებთ, ლოგინთან გაიკარით. უბრალო რამე არალი, 1901 წლის გაკეთილია. იგივე მეორდება, ის ბრინჯიკოლა ჩინელი მაშინაც იცინოდა...

ზურა ოთხერელი

წერილი მეოთხე

შეუთავსებელთა შეთავსება

საკრალური (დაფარული) თემების რეტროსპექტივას უძღვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი, მწერალი ბუსრი ოტობაია. მისი 5-ტომეულის სახელწოდება „შეუთავსებელთა შეთავსება“ სამყაროს სინონომია, რომელიც ნემსის წვერზე ატევს ყინულს და ცეცხლს, ბოროტს და კეთილს, სიკვდილს და სიცოცხლეს. ამავდროულად, ეს წიგნი ზედმიწევნით ასახავს ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის შემოქმედი პროტოიბერიელების დღემდე უცნობ საიდუმლო ცოდნას. წინამდებარე პუბლიკაცია წიგნის საგაზეთო ვარიანტია.

ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@ gmail.com

ჩვენ წინა წერილებში მივანიშნეთ, რომ ნებისმიერი საზოგადოების წინსვლას ხელდასხმული ხალხი განაგებდა. მე-12 საუკუნეში რომ არ ყოფილიყო **გიორგი ჭყონდიდელი,** დღეს საერთოდ არ გვექნებოდა საქართველო. დიახაც, მან ხმლით და ჯვრით შექმნა ძლიერი, ჭკვიანი მეფე **დავით აღმაშენებლის** სახით და მისი წინამძღოლობით ფერფლიდან აღადგინა იავარქნილი საქართველო. ეს ხალხი — ქურუმთა კასტა, წმინდა წესით გაჩენილები იყვნენ. სვეტიცხოვლის ბარელიეფზე გამოსახულია ხელდასხმის სცენა. სხვაგან — ჯანსაღი ქალისა და მამაკაცის კოიტუსით **21 მარტის** საგაზაფხულო ბუნების მოვლენები თითქმის შეჩერებელია. მზე, მთვარე და დედამიწა ერთ წრფეზე იმყოფებიან და ყველაზე ოპტიმალური პერიოდია ზენიჭიერი ადამიანის ჩასასახად, რომელსაც ნიცშე UBERMENSCH-ს — ზეკაცს ეძახის. იგი, როგორც წესი, ჩნდება **23 დეკემბერს**. სამეფო ნიშნით ცხებული ინდივიდის ჩასახვა კი ხდებოდა **21 ოქტომბერს** და იბადებოდა **22 ივლისს**.

მარქსმა და ენგელსმა იცოდნენ, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, მაგრამ ვერ გიპასუხებდნენ, როგორ, რატომ, რის გამო. მართალია, ადამიანი გამართულმა სიარულმა, დანაწევრებულმა მეტყველებამ, მრავალხმიანმა სიმღერებმა და ცეკვისას ციბრუტებმა სწრაფად დააწინაურა დროსა და სივრცეში, მაგრამ საკუთრივ შრომამ რანაირად ჩამოაყალიბა იგი, ამაზე დღემდე არ არის პასუხი გაცემული. გამართულმა სიარულმა ადამიანს წინა კიდურები გამოუთავისუფლა. ამიტომაც ეძახის კანტი ხელებს გარეთ გამოსულ ტვინს. ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელსაც ორი საგნით მესამის შექმნა ძალუძს. ამას პრიმიტიულად აკეთებს შიმპანზე ყველა სხვა ცხოველისგან განსხვავებით: ჭერზე ჩამოკიდებულია ბანანი. ოთახში იმყოფება დამშეული შიმპანზე.. არის ყუთები, ჯოხები და მორჩა. შიმპანზე შეაყენებს ყუთზე ყუთს. მაინც ვერ წვდება ბანანს. მოიშველიებს ჯოხს. ვერც მაშინ, შემდეგ კი, ჯოხს ჯოხზე მოარგებს, დააგრძელებს და საწადელს ეწევა. ეს უკვე გაცილებით მაღალი რანგის აზროვნებაა. მაკაკას ამოღრუნტულ მორში კაკალს უყრიან მონადირენი. ჩაყოფს ხელს მაკაკა, მოუჭერს ხელს კაკალს, მაგრამ გამსხვილებული მუშტი უკან ვერ ამოაქვს და თავზე ლომიც რომ წამოადგეს შესაჭმელად, ამ კაკალს ხელს არაფრით გაუშვებს. აი, გამოჩნდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მძლავრი ფესვები. ამის შესახებ ქრისტეც მიუთითებს: **მდიდარი კაცი ისე დაურიგებს თავის ქონებას ღარიბ-ღატაკებს, როგორც აქლემი გავა ნემსის ყუნწშიო.**

ჩვენ ვუბრუნდებით შრომის მეშვეობით ადამიანის ჩამოყალიბების ნიუანსებს. ხელის თითებს შიგნით სხვადასხვა კონფიგურაციის ტალღები აღენიშნება. ეს ადამიანის ხასიათის მიმანიშნებელია; ასეთი ხასიათი ოთხგვარია: მელანქოლიკური, ფლეგმატიკური, ქოლერიკული და სანგვინიკური.

ხელის თითებს გააჩნიათ აგრეთვე ბალიშები, რომელთა უკან განლაგებულია რეცეპტორები. ისინი, თავის მხრივ, ტვინის შესაბამის ნეირონებს ასტიმულებენ. გაგვახსენდეს — ნეირონები წესიერი ექვსკუთხედის აგებულებისაა — ფუტკრის ფიჭის, ფიფქის, კრისტალის აღნაგობის. აქედან გამომდინარე, შრომა ისე აყალიბებს ადამიანს, რა ხასიათის სამუშაოსაც ასრულებს იგი. ქვის სამტეხლოს მუშის ტვინი სხვანაირადაა მომართული, ვიდრე არფაზე დამკვრელის გონება. აი, რამ ჩამოაყალიბა ადამიანი შრომის დროს — თითების რეცეპტორებმა და მათ მიერ შეგრძნებული სამუშაოს ხასიათმა. მაგრამ ადამიანს, ამავდროულად, გააჩნია ქვედა კიდურები და მათი ფალანგები ნაკლებად არის განვითარებული. ამიტომაც ხელის მტევანზე ეპიცენტრი შუათითს რომ ემთხვევა, ფეხის ფალანგაზე იგი იდეალურ შემთხვევაში მეორე თითზე მოდის.

მართლმადიდებელი მღვდელმსახური ვინმეს რომ აკურთხებს, შუათითი სალოკსაა (საჩვენებელი) გათანაბრებული, თუმცა კი სიგრძით აღემატება მას. ქურუმული ცოდნა გვეუბნება: **დაიოკე შენი ვნებათაღელვა, სექსუალური მიდრეკილებები და დაუმორჩილე იგი რაციოს, გონებასო**. ამ დროს რელიგია თითქოს ორმაგ სტანდარტს ამკვიდრებს — სტიმულს ანიჭებს სექსს, ვნებათაღელვებს, როცა ბიბლიური აკრძალული ნაყოფით თვალი აუხილა ადამიანს, საფარველით დაუფარა სარცხვენელი, ასო. ფსიქოლოგიიდან კი ცნობილია, რასაც კრძალავენ, ის გაცილებით მიმზიდველია...

ხვად ლომს თავის ძუსთან შეუსვენებლივ 40-ჯერ შეუძლია თანაცხოვრება. ამას აკეთებს **ჰერაკლეც,** მაგრამ — დღე-ღამეში, 24 საათის განმავლობაში, ანუ პარტნიორთან მისვლა ყოველ 36 წუთში ძალუძს. ეს ყველაზე მეტად შეეძლო ჰერაკლეს პროტოტიპს შორეულ წარსულში, **გილგამეშს**. ისიც **ქრისტესავით** უბიწოდაა გაჩენილი **რიმატ ნინსუნისგან**. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ღამის უფლების ცნება — **Homo priame noctis**. ამ დროს მგლები, არწივები მონოგამიას, ერთ ქორწინებას ჯერდებიან.

ქურუმებმა იცოდნენ ადამიანის გასაჭირი — განსაკუთრებით **ონანიზმის** კუთხით, რასაც გურიაში ხელცქვიტობასაც ეძახიან, სხვაგან — მუჭურს. საამისოდ **მოსემ** მოიგონა წინდაცვეთა — **Brit milah** — რათა უხეში ხახუნისგან, ტრიბადიისგან ასოს გვირგვინი არ გაფუჭებულიყო და მამაკაცი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო დედაკაცის წინაშე სექსუალური უძლურობის გამო. მაგრამ ამ წინდაცვეთს მოჰყვა მეორე გაუკუღმართება — მამათმავლობა, იგივე სოდომ-გომორი, რომელმაც შემუსრა ოდესღაც სანაქებო თანამედროვე ევროპა, ამერიკა, ნაწილობრივ აზია-აფრიკა და ყველაზე ნაკლებად კავკასია. რატომ? იმიტომ, რომ ქართველი პოლიფონიურ საგალობლებს მღერის და ცეკვავს ციბრუტებით, იკვებება ნატურალური საკვებით, ეტანება ღვინოს და არა სპირტიან სასმელებს. სიტუაცია ამგვარია და ამისთანა ვითარებაში მსოფლიო კანონმდებლობას ჩიხში შეჰყავს **ბუნების გვირგვინი ადამიანი,** როცა ერთსქესიანებს შორის ქორწინებას აკანონებს. ეს ტენდენცია კაცობრიობას ატომურ აფეთქებაზე მეტად გაავლებს მუსრს ადრე თუ გვიან და ამ პოპულაციის სრულ გაქრობას გამოიწვევს. ერთსქესიანთა ქორწინების სტიმულირების სანაცვლოდ, საჭიროა ასეთი მიდრეკილების ხალხის პროფილაქტიკა მამაკაცური ჰორმონების, მაგ. ტესტოსტერონის შემცველი პრეპარატებით.

ცნობილია, რომ ნებისმიერ დედაკაცს აქვს მამაკაცის ჰორმონები, ასევე ასო — განუვითარებელი ფორმით და პირიქით. ასე რომ არ იყოს, სქესის შეცვლას ვერ შეძლებდნენ ქირურგები. წურბელები ორსქესიანები არიან და ბუნება უშვებს მათ ორსქესიანობას, მაგრამ ადამიანი მოაზროვნე ცხოველია. მას სიამაყით აქვს გაცნობიერებული თავისი მამრული და მდედრული წარმომავლობა. როცა ეს საზღვრები ირღვევა, ხდება პიროვნების გაორება და ასეთი ადამიანი გამოუსადეგარია საზოგადოებისათვის, ხშირ შემთხვევაში, საზიანოც კი. როგორ მოვიქცეთ, მსგავსი მიდრეკილების ტიპებს გავუხსნათ ფართო ასპარეზი და პლანეტარული ცივილიზაციის მომავალი სასწორზე შევაგდოთ, თუ მოვაქციოთ ისინი კანონიერი თერაპიის ფარგლებში?!

დღეს ქურუმების ფუნქციას ეროვნული აკადემიები უნდა განაგებდნენ წესით, მაგრამ სინამდვილეში, მათი როლი ამ კუთხით ძალზე უფერულია. ამ მისიას, ფაქტობრივად, ოლიგარქიული კლანები განახორციელებენ, განსაკუთრებით **მასონური ლოჟები**, ე. წ. **უჩინარი ხელის** სახელწოდებით.

მარქსის მიერ **ზედმეტი ღირებულების თეორიის** აღმოჩენამ, ფაქტობრივად, ნიღაბი ახადა კაპიტალისტური წყობის ყბადაღებულ **თავისუფლებას** და ამ თავისუფლებზე მიბმულ ფრთაშეკრეჭილ ფასეულობებს — მხატვრულ ლიტერატურას, კინემატოგრაფს... მან მთელი სიმკაცრით ამხილა იმპერიალისტური სამყაროს აქილევსის ქუსლები. სოციალისტურმა სივრცემ სცადა ამ ქუსლების მკურნალობა პროკრუსტეს სარეცლის ტექნოლოგიით — გრძელი კიდურების დამოკლებით და მოკლე კიდურების დაჭიმვით. ამ დროს დავიწყებული იქნა მარქსის მოთხოვნები მსოფლიო ეკონომიკის საერთო დონის ამაღლების შესახებ, რაც რუსულმა სოციალიზაციამ ლამის ფეოდალურ ქვის ხანას მოარგო მონომახის ქუდად და ცხადია, შედეგმაც არ დააყოვნა — მოხდა მის სივრცეში ველური კაპიტალიზმის ელვისებური კულტივაცია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, კაცობრიობა აუცილებლად გადალახავს ამ პრობლემას, როგორც თავის დროზე გადაილახა **რასიზმი, პლანტატორული** ფსიქოლოგია.

აქ უკრაინა-რუსეთის, ისრაელ-პალესტინის თუ სხვათა წინააღმდეგობების უკან, დიახაც, ზედმეტი ღირებულების თეორია დგას. გაბატონებულმა კლანებმა თავიანთი ღვთიური მდგომარეობა რომ არ დაკარგონ, ისინი ყველა ხერხით და მეთოდით ახდენენ ფართო მასებში ინტელექტის დევალვაციას, ხელოვნურად იწვევენ მათში პროფანაციას; ადრეული ასაკიდან თავს ახვევენ სექსს, ნარკომანიას, რათა პირუტყვივით ადვილად მართონ პლებსი, როგორც ამას მეურმე ახერხებს წკნელით ურემს შებმული კამეჩების მიმართ. არადა, ჩვენ გვაქვს ალტერნატიული არჩევანიც, როცა ოლიგარქიული ფინანსური რესურსები ექვემდებარება ქურუმულ კეთილგონიერებას; როდესაც იგი მეცენატური სულისკვეთებისაა და არა მილიტარისტული; როდესაც იგი დედამიწის ეკოლოგიური გადარჩენის გზას დაადგება და ბარბაროსულ ომებსა თუ ანტიკაცობრიულ პროექტებში არ ფლანგავს მილიარდებს.

დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ ოლიგარქიული ცნობიერება გადასინჯავს თავის ეგოისტურ, ავადმყოფურ დამოკიდებულებას, დაბალი ფენების მიმართ ქედმაღლურ დამოკიდებულებას მათი გაუბედურების ნაცვლად, გაკეთილშობილების პლანეტარულ მისიას დაადგება. მსგავსი ქურუმული დამოკიდებულებით, ათასწლეულების განმავლობაში შეიქმნა **Homo sapiens**-ი, რომელთა შორის ყველაზე მოწინავე პოზიციაზე, დიახაც, პროტოიბერიული ჯიშ-ჯილაგი იმყოფება. ამას ადასტურეს **ბლუმენბახის** ანთროპოლოგიური ნაშრომები; ამას ადასტურებს **ჰუმბოლდტის** ენათმეცნიერული ნამუშევრები, ამას ადასტურებენ **არისტოტელეს, კანტის, ჰეგელის, მარქსის** ფილოსოფიური დოქტრინები; ამას ადასტურებს მათემატიკოს **გია კვაშილავას** მიერ გაშიფრული **ფესტოსის დისკოს** ტექსტი — **ნინანას საგალობელები,** რომელიც თავგადაკლულად ჩაგვაგონებს: **დაფარეთ საიდუმლოებანიო,** მაგრამ რა არის ეს საიდუმლეობანი, ვერ გვეუბნება საქვეყნოდ აღიარებული თანამემამულე ჩვენი. მხოლოდ ეზოტერიკისი **მიზეილ გალდავა** მიანიშნებს ამ საიდუმლეობათა კონტურებს, როცა ბადროს აღნაგობის ფესტოსის დისკოს შუაზე გააპობს და ორ ნახევარსფეროს მიიღებს — ურთიერთშორის გადასასვლელი ხიდით დაკავშირებულ ორ სპირალს. ხოლო რას წარმოადგენს ზემოთ თქმული, თუ თავად ამ დისკოს ეპიცენტრში ჩახატული **რვაფოთოლა,** რიგისობის მიხედვით, გაზეთის მომდევნო ნომრებში.



დასაწყისი
იხ. „ს. გ“, N34-36, 2023 წ.

როგორ იცავს ევროპული სამართალი მედიის უფლებებს

მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს წევრი გავხდით და საერთაშორისო კონვენციას შევუერთდით, ვალდებულება ავიღეთ, საერთაშორისო სამართლის პრინციპები გაგვეთვალისწინებინა.

ქართული მართლმსაჯულებისთვის სახელმძღვანელოდ მიიჩნევა საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული პრაქტიკა. ჩვენი ქვეყნის სასამართლოს ვერცერთ გადაწყვეტილებას ვერ ნახავთ, დატვირთული რომ არ იყოს ევროსასამართლოს პრეცედენტული მსჯელობით.

ევროპული კონვენციის თანახმად, სტრასბურგის სასამართლოს აქვს ფუნქცია, არა მხოლოდ დააკისროს თანხის გადახდა კანონის დამრღვევ სახელმწიფოს (ვინაიდან ნებისმიერ საქმეზე ის მოპასუხე და პასუხისმგებელი პირია), არამედ აკონტროლოს თავისი გადაწყვეტილებების აღსრულებაც.

ევროსასამართლოს უფლება აქვს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასცეს განკარგულება დროებითი ღონისძიების შეჩერების გამოყენების შესახებ, შეაჩეროს ნებისმიერი სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. გვახსოვს, ალბათ, „რუსთავი-2“-ის საქმე, როცა ევროსასამართლომ გამოიყენა ეს ღონისძიება, რაც ანგაჟირებულმა მედიამ მაშინ დიდ გამარჯვებად მიიჩნია. თუმცა, საბოლოოდ, ტელევიზიის წინააღმდეგ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა და ქონება მის ნამდვილ მფლობელს დაუბრუნა. ვიმეორებ, ევროსასამართლოს, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე, სიტყვის თავისუფლების დარღვევის საშიშროებას ემუქრება, უფლება აქვს, შეაჩეროს ნებისმიერი აღსრულება და მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საჩივრის ავტორი.

რა გავლენა შეიძლება იქონიოს სტრასბურგის სასამართლოს მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა? ევროპის სამართალი პრეცედენტებზეა აგებული, ხშირად დამცველი ადვოკატებიც სწორედ ამგვარ სამართალზე აფუძნებენ დაცვის სტრატეგიას, რაც, ხშირ შემთხვევაში, წარმატების მომტანია. ქართველმა მოსამართლემაც იცის, რომ განსახილველი დავა სწორად უნდა გადაწყვიტოს, გაითვალისწინოს სტრასბურგის მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც, შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად ეხება მის განსახილველ საქმეს, უნდა იყოს სამართლიანი და ზედმიწევნით დაიცვას ევროკონვენციის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს მიაყენებს, რადგან ხშირად ევროსასამართლო დამარცხებულ მხარეს სოლიდური თანხით აჯარიმებს, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე ანაზღაურდება. როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვიანობის შემცირებაც სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება.

უსაზღვრო თავისუფლების გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნები თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს მენტალურად ხშირად ვერ ეგუებიან, მაგრამ, როგორც გამოცდილებით აღმოჩნდა, ევროპული კანონმდებლობა სხვებთან შედარებით უკეთესად იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. კარგად გვახსოვს გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტების შინაარსი, რამაც მაშინ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაციონალური ხელისუფლების გარკვეული დოზით შესაჩერებლად.

მაგრამ როგორ უყურებს იგივე ევროსასამართლო ეგრეთ წოდებულ მეოთხე ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს? ამჟამად ჟურნალისტის კონფიდენციალურობის წყაროს დაცვის საკითხს შევეხებით და დეტალურად მიმოვიხილავთ საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, აქვს თუ არა ჟურნალისტს უფლება, მათ შორის სასამართლოს ვერდიქტის დავალების საფუძველზეც, გაამჟღავნოს კონფიდენციალური წყარო, ანუ ეგრეთ წოდებული ინფორმატორის ვინაობა.

საქართველოს კანონმდებლობით, სიტყვისა და გამოხატვის შესახებ ჟურნალისტს ავალდებულებს, დაიცვას კონფიდენტი, ინფორმატორი, ვინც ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტებს მოწმის სახით მაინც იბარებენ და გამოძიება სახელმწიფო ინტერესების მოტივით, წყაროს გამჟღავნებას სთხოვს.

2010 წელს სტრასბურგის სასამართლომ ნიდერლანდების სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო მედიისთვის სახელმძღვანელოდ იქცა.

ნიდერლანდებში საავტომობილო ჟურნალის კომპანიამ გადაწყვიტა, გამოექვეყნებინა სტატია უკანონო საგზაო რბოლების შესახებ. ჟურნალისტებმა რბოლის ორგანიზატორებისაგან მოიპოვეს ნებართვა, გადაეღოთ ფოტოსურათები იმ პირობით, რომ ისინი არ გაამჟღავნებდნენ მონაწილეთა ვინაობას. რედაქციამ ტექნიკურად ისე დაამუშავა ფოტომასალა, რომ გამოქვეყნებისას ვერ მოხდებოდა ავტომობილებისა და მონაწილეთა იდენტიფიცირება. სტატიის გამოქვეყნებამდე ნიდერლანდების პროკურატურამ დაიბარა ჟურნალის რედაქტორი და მოსთხოვა ფოტოების ჩაბარება, რადგან ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს ეხებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ გამოცემის ხელმძღვანელი პროკურატურას არ დაემორჩილებოდა, მას დააკავებდნენ და გამომცემლობას იძულებით მთლიანად გაჩხრეკ-

დნენ. ვინაიდან გამომცემლობა კონფიდენციალურ წყაროს იცავდა, ფოტოების გადაცემაზე უარი განაცხადა, რის გამოც რედაქტორი ოთხი საათის განმავლობაში დააკავეს, ხოლო სადავო ფოტოები ჩამოართვეს. პროკურატურამ სასამართლოს მიმართა რედაქციიდან საქმის მასალების ამოღების გადაუდებლობის შესახებ და ამის აუცილებლობა იმით დაასაბუთა, რომ ფოტოები საჭირო იყო ავტომანქანის იდენტიფიცირებისათვის, რადგან არსებობდა ეჭვი, **რომ ის გამოიყენეს შეტევისათვის და, შესაბამისად, გამოძიება საგზაო რბოლას კი არა, უფრო დიდი დანაშაულის პრევენციას ეხებოდა. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და, ფაქტობრივად, გაიმეორა ბრალდების მოსაზრება: როცა საქმე დანაშაულის გახსნას ეხება, ჟურნალისტური პრივილეგია არ არსებობს.**

რედაქციამ, რა თქმა უნდა, სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრა ჩხრეკის შესახებ ადგილობრივი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განმარტა, რომ სასამართლოს ბრძანება უკანონო და რედაქციის საქმიანობაში უხეშად ჩარევა იყო.

ცნობისათვის, ევროპის სასამართლო, კანონის მიხედვით, არ აფასებს, რამდენად სწორად გადაწყვიტა ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლომ საქმე, არამედ აფასებს პროცედურებს, დაცული იყო თუ არა მომჩივანის, როგორც მხარის ევროკონვენციით გათვალისწინებული უფლებები, სამართლიანი სასამართლოს ქონისა და ხელმისაწვდომობის უფლება. ამ საქმეში სადავო სწორედ ის პროცესუალური დარღვევა იყო, რომელიც ნიდერლანდების პროკურატურამ გამომცემლობის წინააღმდეგ განახორციელა, როცა ჟურნალის ოფისში უკანონო ჩხრეკა-ამოღება ჩაატარა.

სტრასბურგის სასამართლომ დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ დააკმაყოფილა გამომცემლობის საჩივარი და განმარტა: **„განსახილველ შემთხვევაში კანონის ხარისხი იყო არასაკმარისი იმ პროცედურის არარსებობის ფარგლებში, რომელსაც თან მოსდევდა ადეკვატური სამართლებრივი გარანტიები, რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმის დამოუკიდებელ შეფასებას, სისხლის სამართლის გამოძიებამ გადაწონა თუ არა საჯარო ინტერესი ჟურნალისტური წყაროს დაცვაში. ამგვარად, ჩარევა არ იყო „გათვალისწინებული კანონით“.** ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ყოველი ღონე უნდა ეხმარა, დაეცვა ჟურნალისტისათვის კანონით გათვალისწინებული გარანტიები და რომ ნიდერლანდების სახელმწიფოს პროკურატურის **ამგვარი ქმედება ძირს უთხრის კონფიდენციალურობის ძირითად არსს.**

არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ჩვენი ეროვნული კანონმდებლობით დაცულია ჟურნალისტის უფლებები. სისხლის სამართლის კანონმდებლობით ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა დასჯადი ქმედებაა და მას (ჟურნალისტს) აქვს უფლება, არ გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური წყარო, რომელმაც ინფორმაცია მიაწოდა.

ლევან ჭიღლაძე

რეჯეფ თაიფ ერდოღანი – „დემოკრატი სულთანი“

თურქეთის პრეზიდენტი, კონსერვატორი დემოკრატი და ქარიზმატული ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მსოფლიო არენაზე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. იგი პოლიტიკაში ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჩაერთო, 2003 წელს მთავრობას ჩაუდგა სათავეში, 2014 წლიდან კი ქვეყნის მეთაურის პოსტი უკავია.

გიამბობთ თურქეთის პრეზიდენტის ბიოგრაფიის საინტერესო მომენტებზე და იმაზე, როგორ შეიცვალა თურქეთი მისი მმართველობის 20 წლის განმავლობაში.

გზა პოლიტიკისკენ და ციხეში ლექსების გამო

რეჯეფ თაიფ ერდოღანი 1954 წლის 26 თებერვალს დაიბადა სტამბოლის ერთ-ერთ ღარიბ ოჯახში. მისი მამა სანაპირო დაცვაში მოშაობდა, დედა კი ბავშვებს ზრდიდა. რეჯეფი ისლამურ სკოლაში დადიოდა, პროფესიულად თამაშობდა ფეხბურთს და თავისუფალ დროს ქალაქის უსაფრთხო ქუჩებში ლიმონათსა და ფუნთუშებს ყიდდა. რადგან ფეხბურთში სერიოზული წარმატებები ჰქონდა, ადგილობრივმა ფეხბურთის კლუბმა „ფენერბახჩემ“ ერდოღანს კონტრაქტი შესთავაზა. მამამისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ შვილი პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო და რეჯეფი იძულებული გახდა, რომ სპორტსმენის კარიერაზე უარი ეთქვა.

1981 წელს ერდოღანმა მარმარის ეკონომიკისა და კომერციული მეცნიერებების უნივერსიტეტი დაამთავრა. სტუდენტურ წლებში რეჯეფი პოლიტიკით დაინტერესდა — ჯერ ნაციონალური გადარჩენის ისლამური პარტიის ახალგაზრდული უჯრედის ლიდერი იყო, შემდეგ კი ამ ორგანიზაციის სტამბოლის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. თუმცა, პარტია 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაიშალა.

1983 წელს ჩამოყალიბდა კეთილდღეობის პარტია. მას შემდეგ, რაც ერდოღანი ამ ორგანიზაციის ლიდერი გახდა, მისი კარიერული წინსვლა დაიწყო. ერდოღანი ხშირად გამოდიოდა მოწოდებით, რათა ახალგაზრდები და ქალები უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პოლიტიკაში, ამის წყალობით, საზოგადოებაში მის მიმართ სიმპათიები მატულობდა.

1994 წლის მარტში ერდოღანი სტამბოლის მერად აირჩიეს. ამ პოსტზე მისი წარმატებებს ისინიც კი აღიარებდნენ, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებდა.

პოლიტიკოსის წარმატებულ გზას ხაზი მისმა დაპატიმრებამ გადაუსვა. 1998 წელს ერდოღანი ციხეში ჩასვეს ისლამისტური შინაარსის ლექსების საჯაროდ წაკითხვის გამო. ოთხი თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს. რეჯეფი იძულებული გახდა, სტამბოლოს მერის პოსტი დაეტოვებინა და ყველაფერი თავიდან დაეწყო. 2001 წელს მან სამართლიანობისა და განვითარების პარტია დააარსა, რომელმაც მოგვიანებით პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა.

ამ პარტიის მიერ კონტროლირებადმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კონსტიტუციაში შესწორება, რომელმაც ერდოღანს შესაძლებლობა მისცა, ნასამართლეობის მიუხედავად, პარლამენტში მოხვედრილიყო.

2003 წელს ერდოღანმა თურქეთის პრემიერის პოსტი დაიკავა და ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება დაიწყო, მკვეთრად შეამცირა არმიის გავლენა და ოპოზიციურ მედიაზე ზეწოლა გააძლიერა.

რეჯეფ ერდოღანი – თურქეთის პრეზიდენტი

2014 წლის აგვისტოში ერდოღანმა საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ამომრჩეველთა ხმების 52% მოიოპოვა. საინტერესოა, რომ 2007 წლამდე ქვეყნის მეთაურს პარლამენტი ირჩევდა, პრეზიდენტის პოსტი კი უფრო ფორმალური იყო. თუმცა, 2012 წელს ხალხს შესაძლებლობა მიეცა, რომ თურქეთის მმართველი საყოველთაო კენჭისყრით აერჩია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირი არჩევნების გზით პრეზიდენტმა მეტი უფლებები მოიპოვა.

2015 წელს გამწვავდა თურქეთ-ქურთების კონფლიქტი და ხელისუფლებამ ქურთისტანის მუშათა პარტიის წინაღმდეგ კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყო. 2016 წლის ზაფხულში ამან თურქეთი სამხედრო გადატრიალების მცდელობამდე მიიყვანა. როგორც პრესაში წერდნენ, პუტჩისტებმა სცადეს, შეჭრილიყვნენ მარმარისის იმ სასტუმროში, სადაც ერდოღანი ცხოვრობდა. შედეგად, მისი ორი მცველი დაიღუპა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ერდოღანის პოლიტიკურ ოპონენტის, ფეთჰულა გიულენის მომხრეებს დაეკისრათ. თურქეთის ხელისუფლებამ მასშტაბური კამპანია დაიწყო არმიის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სახელმწიფო აპარატის „გიულენისტებისგან“ „გაწმენდის“ მიზნით.

კრიტიკოსების მოსაზრებით, ერდოღანის პრეზიდენტობის პირობებში, მისი კურსი ავტორიტარიზმის მხარეს გადაიხარა, რის გამოც დასავლეთის მედიასაშუალებებმა მას „დემოკრატიული სულთანი“ უწოდეს. და მაინც, ბევრი ექსპერტი ერდოღანს თანამედროვე ისტორიაში ყველაზე გავლენიან თურქ ლიდერად მიიჩნევს.

„თურქეთი საკუთარ ბედს თავად გადაწყვეტს“

2018 წლის ივნისში ერდოღანი ხმათა 52,5%-ით პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით აირჩიეს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ერდოღანის მმართველობის პერიოდში მსოფლიო არენაზე თურქეთის მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა.

პრეზიდენტი ხელისუფლებაში ევროპისა და დემოკრატიის დროშის ქვეშ მოვიდა და აქტიურად ცდილობდა თურქეთის ევროკავშირში შეყვანას. მიუხედავად ისლამისტური შეხედულებებისა, ერდოღანი თავს კონსერვატიულ პროდასავლეთელად მიიჩნევს და ცდილობს, ყველა წინააღმდეგობას ღირსეულად გაუმკლავდეს. თუმცა ევეროჩინოვნიკების მხრიდან ენთუზიაზმის არქონის გამო თურქეთი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ჩვენ არ გვაქვს პრობლემა, მიიღებენ თუ არა თურქეთს ევროკავშირში. ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ საკუთარ ბედს“, — განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის ლიდერი აქტიურად ახორციელებს იდეას, თურქეთი რეგიონში მთავარ ლოგისტიკურ ცენტრად, ენერგეტიკულ ჰაბად და საეთაშორისო სატრანსპორტო არტერიად აქციოს.

წელს პირველ თურქულ ატომურ ელექტროსადგურ „აკუიუში“, რომელიც რუსეთის მონაწილეობით შენდება, ბირთვული საწვავი ჩაიტანეს. ამის შემდეგ მან ბირთვული ობიექტის სტატუსი მოიპოვა, თურქეთი კი იმ ქვეყნების რიგებში ჩადგა, რომლებსაც ატომური ენერგეტიკა აქვთ.

2023 წლის მაისში მოქმედმა პრეზიდენტმა ერდოღანმა კვლავ მოიპოვა გამარჯვება არჩევნებში და თავის ოპონენტს ქემალ ქილიჩდაროღლუს 4%-ით გაუსწრო.

თურქეთის ლიდერის ოჯახი და შვილები

თურქეთის პრეზიდენტი 1978 წელის დაქორწინდა. მისი მეუღლე ემინე ქველმოქმედებით არის დაკავებული. მათ ოთხ შვილი ჰყავთ, ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ცნობილია, რომ თურქეთის ლიდერის ვაჟები ნავთობის ბიზნესით არიან დაკავებული, ქალიშვილები კი ქვეყანაში ქალთა უფლებადამცველები არიან.

თურქეთის პრეზიდენტი ოჯახთან ერთად ანკარის გარეუბანში აკ-სარაის სასახლეში ცხოვრობს. დასავლურ პრესაში წერდნენ, რომ ერდოღანის რეზიდენციაში დაახლოებით ათას ოთახამდეა და ამერიკის თეთრ სახლზე დიდია.

ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99